

წვდომა შეზღუდულია

ჩრდილოვანი ანგარიში ორჭუსის კონვენციის
განხორციელების შესახებ საქართველოში,
2021–2024



წვდომა შეზღუდულია

ჩრდილოვანი ანგარიში ორჭუსის კონვენციის
განხორციელების შესახებ საქართველოში,
2021–2024

2025



გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

გზშ	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ნამახვანჰესი	ნამახვანის ჰიდროელექტროსადგური
საია	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
სგშ	სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება
სზაკ	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
EPRC	ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი
FARA	უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი
GDI	საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა
IDFI	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
ISFED	სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
MDF	მედიის განვითარების ფონდი
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
UNDP	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა

მთავარი ავტორი: თამარ სამხარაძე

ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობდნენ: სალომე შუბლაძე, მარიამ ჯანიაშვილი - სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ვახტანგ ბარამიშვილი, ზუზანა ვახუნოვა და მარტინ სკალსკი, „არნიკა - მოქალაქეთა მხარდაჭერის ცენტრი“

ინგლისური ტექსტის კორექტურა: საიმონ გილი

ქართული თარგმანი: ნინო ცაგარეიშვილი

გრაფიკული დიზაინი: ბილინა და კობილა (Bylina & Kobyla)

ფოტო ყდაზე: მთის ამბები

ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ ენებზე: ინგლისური, ქართული

ISBN: 978-80-88508-91-5

წინამდებარე ნაშრომი ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 4.0 International ლიცენზიის ქვეშ (ლიცენზიის ასლის სანახავად ეწვიეთ: <https://creativecommons.org/licenses/by-nc-sa/3.0/igo>).

ანგარიში გამოქვეყნდა ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს „ტრანზიციის ხელშეწყობის პროგრამის“ გულუხვი ფინანსური მხარდაჭერის მეშვეობით, როგორც კონტრიბუცია ორპუსის კონვენციის მხარეთა მერვე შეხვედრისთვის.

სარჩევი

შესავალი / 5

ზოგადი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო / 7

სამართლებრივი ჩარჩო / 7

ინსტიტუციური მოწყობა / 8

მუხლი 3 – გარემოსდაცვითი განათლება და ცნობიერება / 12

გარემოსდამცველების დაცვა / 13

გარემოსდაცვით ინფორმაციაზე წვდომა (მუხლი 4) / 23

გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემა მოთხოვნის შემთხვევაში / 23

გარემოსდაცვითი ინფორმაციის პროაქტიული გავრცელება / 29

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა (მუხლი 6) / 42

გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურა / 42

სექტორისთვის სპეციფიკური გამოწვევები / 48

გეგმები, პროგრამები და პოლიტიკის დოკუმენტები (მუხლი 7) / 65

რეგულაციები და წესები (მუხლი 8) / 66

მართლმსაჯულებაზე წვდომა (მუხლი 9) / 67

სამართლებრივი ჩარჩო / 67

გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე წვდომის პრაქტიკული ბარიერები / 67

დაგვიანებული მართლმსაჯულება / 68

სასამართლო კონტროლის ხარისხი / 70

სუსტი მონიტორინგი და აღსრულება / 71

ცემენტის წარმოება კასპში / 72

დასკვნითი მოსაზრებები / 75

ჩვენს შესახებ / 76

შესავალი

ეს ჩრდილოვანი ანგარიში მომზადდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ, რათა შეავსოს საქართველოს ეროვნული ანგარიში ორჭუსის კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით, რომელიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2021-2024 წლების საანგარიშო ციკლისთვის წარადგინა. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური ანგარიში მიმოიხილავს შესაბამის სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოს, ამ დოკუმენტის მიზანია მისი შევსება დამოუკიდებელი, პრაქტიკაზე ორიენტირებული შეფასებით, რომელიც ხაზს უსვამს ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებულ სირთულეებსა და სისტემურ ხარვეზებს.

საქართველოში ორჭუსის კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით ბოლო სრული ჩრდილოვანი ანგარიში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“ 2014 წელს წარადგინა. მას შემდეგ ქვეყანაში მნიშვნელოვანი სამართლებრივი და ინსტიტუციური რეფორმები განხორციელდა, მათ შორის, მიღებულ იქნა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (2017) და გატარდა მრავალი სექტორული საკანონმდებლო ცვლილება გარემოსდაცვითი მმართველობის გასაძლიერებლად. თუმცა, ამ რეფორმების პრაქტიკული მოქმედება სისტემატურად არ შეფასებულა. სახალხო დამცველის ოფისმა მოამზადა მოკლე ალტერნატიული ანგარიში 2017-2020 წლების ციკლისთვის, თუმცა მისი ფარგლები შეზღუდული იყო. ამ ფონზე, წინამდებარე ანგარიშის მიზანია წარმოადგინოს განახლებული შეფასება იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ეს რეფორმები პრაქტიკაში და გამოავლინოს როგორც განგრძობადი, ასევე ახალი ხარვეზები ორჭუსის კონვენციის ეფექტურ განხორციელებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე ანგარიში მოამზადა სოციალური სამართლიანობის ცენტრმა, საქართველოში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელიც მუშაობს გარემოსდაცვითი უფლებების, სოციალური სამართლიანობისა და დემოკრატიული მმართველობის მიმართულებებით, ჩეხეთის რესპუბლიკაში დაფუძნებული გარემოსდაცვითი ორგანიზაციის, „არნიკას“ მხარდაჭერით. ანგარიშის დასკვნები ფართოდ ეყრდნობა ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებსა და კვლევებს, მედიის მიერ ჩატარებულ გამოძიებებს, ოფიციალურ სამთავრობო დოკუმენტებს, სასამართლო პროცესებსა და სხვა სამართლებრივ და ინსტიტუციურ წყაროებს.

მოსამზადებელი პროცესის ფარგლებში, 2025 წლის სექტემბერში გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, მედია ორგანიზაციებთან, ექსპერტებთან და გარემოსდაცვით მოძრაობებში აქტიურად ჩართულ თემის წევრებთან, წინასწარი შეფასებების განსახილველად და ანგარიშის შინაარსზე შესათანხმებლად. 2025 წლის ოქტომბერში, შეხვედრის მონაწილეებს შორის გავრცელდა ანგარიშის სამუშაო ვერსია, მათი კომენტარების მისაღებად. ორგანიზაციებისგან -

„საბუკო“ და „მწვანე ალტერნატივა“ - მიღებულ იქნა წერილობითი და ზეპირი გამოხმაურება, რომელიც აისახა ანგარიშის საბოლოო ვერსიაში.

მიუხედავად ამ ძალისხმევისა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მზარდად რეპრესიულმა პოლიტიკურმა გარემომ შეზღუდა უფრო ფართო სამოქალაქო ჩართულობა. ბევრი ორგანიზაცია მოქმედებს დაშინებისა და რესურსების სიმწირის პირობებში, რაც აფერხებს კომუნიკაციას, ინფორმაციის გაზიარებას და ამ პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მასშტაბებს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ეს ანგარიში წარმოადგენს არსებული სიტუაციის განახლებულ და დეტალურ შეფასებას, იგი არ აცხადებს, რომ სრულად მოიცავს ყველა მიმართულებას ან ყველა გამოწვევას. ის ცდილობს გამოკვეთოს ძირითადი სისტემური ტენდენციები და წარმომადგენლობითი შემთხვევები, რომლებიც ასახავს ორჰუსის კონვენციის ეფექტური განხორციელების, გამოყენებისა და აღსრულების დამაბრკოლებელ განგრძობად ბარიერებს საქართველოში.

ზოგადი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო

სამართლებრივი ჩარჩო

ჯანსაღი გარემოს უფლება, გარემოსდაცვით ინფორმაციაზე წვდომისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებებთან ერთად, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით. გარდა ამისა, კონსტიტუციის მე-18 მუხლი იცავს სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოებისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებებს, ხოლო 31-ე მუხლი უზრუნველყოფს სასამართლოს ხელმისაწვდომობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებებს.

საქართველოში გარემოს დაცვის სამართლებრივი ჩარჩო, ძირითადად, განსაზღვრულია „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონით, რომელსაც დამატებით ავსებს „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონები, და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“.

საჯარო ინფორმაციაზე, მათ შორის, გარემოსდაცვით ინფორმაციაზე წვდომას, ძირითადად, არეგულირებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (სზაკ), კერძოდ, მისი III თავი. საჯარო უწყებების გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურებს ერთობლივად არეგულირებს სზაკ-ი და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. გარემოსდაცვითი დარღვევებისთვის სანქციები გათვალისწინებულია როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ასევე სისხლის სამართლის კოდექსით.

გარდა ამისა, სექტორული კანონები მოიცავს:

- საქართველოს კანონს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“
- საქართველოს კანონს „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“
- „საქართველოს ტყის კოდექსს“
- საქართველოს კანონს „სამრეწველო ემისიების შესახებ“
- საქართველოს კანონს „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“
- საქართველოს კანონს „ნარჩენების მართვის კოდექსს“
- საქართველოს კანონს „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსს“
- საქართველოს კანონს „წიაღის შესახებ“
- საქართველოს კანონს „წყლის რესურსების მართვის შესახებ“
- საქართველოს კანონს „სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსს“

ორჭუსის კონვენციას, როგორც საერთაშორისო შეთანხმებას, უპირატესობა ენიჭება შიდა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან შედარებით და აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა.

ინსტიტუციური მოწყობა

საქართველო წარმომადგენლობითი დემოკრატიაა, სადაც გარემოსდაცვითი მმართველობა ხორციელდება მრავალდონიანი ინსტიტუციური ჩარჩოს საშუალებით, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. საქართველოს პარლამენტი, როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, აყალიბებს სახელმწიფო პოლიტიკას, მათ შორის, გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების პრიორიტეტებს, და ახორციელებს ზედამხედველობას მთავრობის მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულებაზე.

სასამართლო სისტემა შედგება საერთო სასამართლოების - საქალაქო/რაიონული სასამართლოების, სააპელაციო სასამართლოებისა და უზენაესი სასამართლოსგან, რომლებიც განიხილავენ სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებს, და საკონსტიტუციო სასამართლოსგან, რომელიც ამოწმებს სამართლებრივი ნორმების, მათ შორის, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის კონსტიტუციურობას.

ეროვნულ დონეზე, საქართველოს მთავრობა, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, პასუხისმგებელია სამინისტროების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლზე, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფასა და ერთიანი პოლიტიკის გატარებაზე გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროებში. მთავრობა ასევე ზედამხედველობს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და სახელმწიფო ქონების მართვას.¹

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში: გარემოს დაცვის სამინისტრო) არის წამყვანი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი მმართველობასა და სახელმწიფოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელებაზე. მისი მანდატი მოიცავს თემატური სფეროების ფართო სპექტრს, მათ შორის, ატმოსფერული ჰაერის ხარისხს, წყლის მართვას, ბიომრავალფეროვნებას, კლიმატის ცვლილებას, ნარჩენების მართვას, ტყის, მიწისა და ნიადაგის დაცვას და რადიაციულ უსაფრთხოებას. გარემოს დაცვის სამინისტრო ასევე პასუხისმგებელია გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) სისტემებზე, რომლებიც ორპუსის კონვენციის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის ძირითად მექანიზმებს წარმოადგენს.²

¹ საქართველოს კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ, 2004, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/document/view/2062?publication=49> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

² საქართველოს მთავრობის დადგენილება N112 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ, 2018, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4093329?publication=19> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

გარემოს დაცვის სამინისტროს ძირითადი ფუნქციებია:

- გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება;
- ბუნებრივი რესურსების (ნავთობის და გაზის გარდა) გამოყენების მართვა და მონიტორინგი;
- დაცული ტერიტორიების და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ზედამხედველობა;
- გარემოსდაცვითი მონაცემების, მათ შორის, ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოდინამიკური და რესურსებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და გავრცელება;
- გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემებისა და გარემოსდაცვითი საინფორმაციო პლატფორმების ადმინისტრირება;
- კატასტროფების რისკის მართვის კოორდინაცია მისი კომპეტენციის ფარგლებში.

გარემოს დაცვის სამინისტროს ფარგლებში ფუნქციონირებს რამდენიმე სპეციალიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად პასუხისმგებელ ორგანოებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების, მონაცემთა გენერირებისა და ინფორმაციის გავრცელების პროცესებში:

- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი მონიტორინგის მონაცემების შეგროვებაზე, ანალიზსა და გავრცელებაზე, მათ შორის, ჰაერის, წყლის, ნიადაგის და მეტეოროლოგიური პარამეტრების შესახებ, კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შესწავლაზე, ადაპტაციისა და შერბილების ზომების შემუშავებაზე, კატასტროფების რისკის მართვაში წვლილის შეტანაზე, ასევე სამონადირეო მეურნეობის მოწყობისა და თევზჭერის საქმიანობის ლიცენზიების გაცემაზე.³
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი – ზედამხედველობს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დაცვას და იღებს შესაბამის ალსრულების ზომებს.⁴
- სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი – უზრუნველყოფს საზოგადოების ხელმისაწვდომობას გარემოსდაცვით ინფორმაციაზე და მონაწილეობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ატარებს პერსონალის ტრენინგისა და

³ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N2-978 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე, 2023, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/document/view/6016861?publication=2> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁴ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება N26 სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, 2013, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1916843?publication=23> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამებს და ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.⁵

- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო, ველური ბუნების ეროვნული სააგენტო, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო და მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო - ახორციელებენ სექტორულ მართვას.

გარემოსდაცვით მმართველობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ **სხვა სამინისტროებიც**:

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შეიმუშავებს და ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც უკავშირდება მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, ენერგეტიკას, ტურიზმს, ტრანსპორტს და სივრცით დაგეგმარებას. ის ასევე კოორდინაციას უწევს ინიციატივებს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის, ენერგოეფექტურობისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიმართულებით. მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების (მაგ., ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო და სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტო) საშუალებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გავლენას ახდენს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებზე ინფრასტრუქტურის განვითარებისა და რესურსების მოპოვების პროცესში.⁶
- ინფრასტრუქტურის სამინისტრო ზედამხედველობს ინფრასტრუქტურის განვითარებას, მათ შორის, წყალმომარაგებას, კანალიზაციის სისტემებს და გზების მშენებლობას, რასაც პირდაპირი გავლენა აქვს გარემოზე.⁷
- რეგიონული განვითარების სამინისტრო ზედამხედველობს რეგიონული განვითარების დაგეგმვას, ადგილობრივი მმართველობის გაძლიერებას და კოორდინაციას სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებს შორის. სამინისტროს საქმიანობა ასევე მოიცავს რეგიონული დაგეგმვის პროცესში გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებას.⁸

⁵ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N2-742 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ, 2018, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4286574?publication=5> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილება N70 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ, 2016, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3290898?publication=32> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁷ საქართველოს მთავრობის დადგენილება N133 საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ, 2025, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6486949?publication=5> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁸ საქართველოს მთავრობის დადგენილება N134 საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ, 2025, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6486992?publication=3> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

- კულტურის სამინისტრო პასუხისმგებელია კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და მართვაზე. მისი საქმიანობა ასევე მოიცავს კულტურულ ობიექტებზე გარემოს ზემოქმედების პრევენციას.⁹

ადგილობრივ დონეზე. მუნიციპალიტეტებს უფლებამოსილება აქვთ ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების მართვაზე, მათ შორის, წყალზე, ტყეებსა და მიწაზე, და პასუხისმგებელი არიან სივრცით დაგეგმვაზე, მუნიციპალური ნარჩენების მართვაზე, ინფრასტრუქტურის მოვლასა და მათ ტერიტორიებზე მშენებლობის ნებართვების გაცემაზე. მუნიციპალურ თვითმმართველობებს მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრიათ გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელებაში, ადგილობრივ დონეზე გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვაში და საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფაში.

ადგილობრივი თვითმმართველობა ორგანიზებულია შემდეგნაირად:

- მუნიციპალური საბჭო (საკრებულო) – წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივი რეგულაციებისა და განვითარების გეგმების დამტკიცებაზე;
- მერი – აღმასრულებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივი პოლიტიკის განხორციელებასა და მუნიციპალური სერვისების მართვაზე;
- დასახლების საერთო კრება - მონაწილეობითი მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, უშუალოდ ჩაერთონ ადგილობრივ მმართველობაში;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო – სათათბირო ორგანო, რომელიც მხარს უჭერს მერს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- დედაქალაქში, თბილისში, გარემოსდაცვით და ურბანულ მმართველობას ახორციელებენ თბილისის მთავრობა, ქალაქის მერი და რაიონის გამგებლები, რომლებიც ზედამხედველობენ ადგილობრივ დონეზე გარემოსდაცვით მართვას, ნარჩენების სისტემებს და მშენებლობის ნებართვებს.¹⁰

მიუხედავად იმისა, რომ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს აქვთ საკუთარი საკანონმდებლო ორგანო და მთავრობა, საერთო საკანონმდებლო ჩარჩო ერთგვაროვნად ვრცელდება მათ ტერიტორიებზე.

⁹ საქართველოს მთავრობის დადგენილება N131 საქართველოს კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ, 2025, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6484820?publication=0> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹⁰ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=78> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

მუხლი 3 – გარემოსდაცვითი განათლება და ცნობიერება

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ფართო სპექტრის გარემოსდაცვითი გამოწვევების წინაშე დგას, გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ საზოგადოების ცნობიერება შეზღუდული რჩება, რაც აბრკოლებს გარემოსდაცვითი უფლებების ეფექტურ რეალიზაციას.¹¹ სახელმწიფო ინიციატივები ცნობიერების ამაღლების მიმართულებით გაბნეულია, ვინროდ არის ორიენტირებული დაბინძურების პრევენციის კამპანიებზე, და არა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის გააზრებაზე ან საზოგადოების მიერ საკუთარი უფლებების გამოყენების უნარის გაძლიერებაზე.¹²

კერძო სექტორის ინფორმირების მექანიზმები ახალი კანონებისა და რეგულაციების შესახებ ასევე ხშირად არაეფექტურია. მაგალითად, 2021 წელს კერძო კომპანიებმა განაცხადეს, რომ სათანადოდ არ იყვნენ ინფორმირებული „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონის მიღების თაობაზე.¹³

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ზე ქვეყნდება ნორმატიული აქტები ონლაინ ფორმატში. თუმცა, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, როგორიცაა მთავრობის დადგენილებები და მინისტრის ბრძანებები, კონსოლიდირებული (განახლებული) სახით ხელმისაწვდომია მხოლოდ საფასურის გადახდის შემთხვევაში. ეს საგრძნობლად ზღუდავს საზოგადოების წვდომას გარემოსდაცვითი რეგულაციების მნიშვნელოვან ნაწილზე, რომელიც მიღებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სახით.¹⁴

საქართველოს გარემოსდაცვით ორგანოებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა კვლავ არსებით დაბრკოლებას წარმოადგენს ეფექტური გარემოსდაცვითი მმართველობისთვის. გარემოსდაცვითი ორგანოების ხშირმა რესტრუქტურისაციამ დაასუსტა ინსტიტუციური მესხიერება და შესაძლებლობები, ხოლო დაბალი ფინანსური მოტივაცია და

¹¹ სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, „საქართველოს მოსახლეობის გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების დონის შეფასება“, 2022, ხელმისაწვდომია: <https://www.undp.org/ka/publications/environmental-awareness-survey> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹² ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), „გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა საქართველოში: არსებული მდგომარეობა და რეკომენდაციები“, 2023, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4nkZgDr> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹³ იქვე.

¹⁴ „საბუკო“, „ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმოხილვა“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://www.sabuko.org/wp-content/uploads/2024/09/REPORT-LOW-geo.pdf> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

სისტემატური ტრენინგების არარსებობა იწვევს კადრების მაღალ გადინებას და კვალიფიციური კადრების მუდმივ ნაკლებობას.¹⁵ ექსპერტიზასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები არ შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოებით: სასამართლო სისტემასაც აკლია სპეციალიზებული ცოდნა გარემოსდაცვითი სამართლის შესახებ, რაც უარყოფითად აისახება გარემოსდაცვით საქმეებში სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხზე.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, მიუხედავად მათი ფართო კომპეტენციებისა ადგილობრივი რესურსების მართვის თვალსაზრისით, გარემოსდაცვით მმართველობაში მხოლოდ შეზღუდულ როლს ასრულებენ. ეს გამოწვეულია საკანონმდებლო პასუხისმგებლობების ბუნდოვანებით, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან არასაკმარისი კონსულტაციებით და გარემოსდაცვითი მმართველობის სფეროში მკაფიო უფლებამოსილებების არარსებობით. ამ ნაკლოვანებებს ამძაფრებს სპეციალურად განკუთვნილი პერსონალის ნაკლებობა, არასაკმარისი ფინანსური რესურსები და შეზღუდული ტექნიკური შესაძლებლობები, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს არასაკმარისად აღჭურვილს ხდის გარემოს დაცვისა და საზოგადოების მონაწილეობის პროცესში მათი როლის შესასრულებლად.¹⁶

გარემოსდამცველების დაცვა

გარემოსდაცვითი ორგანიზაციების დევნა

საანგარიშო პერიოდში მკვეთრად გაუარესდა ასოციაციებისა და აქტივისტების შესაძლებლობა, თავისუფლად დაიცვან გარემოსდაცვითი უფლებები. 2024 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ე.წ. „უცხოელი აგენტების კანონი. კანონის თანახმად, ორგანიზაციები, რომლებიც დაფინანსების 20%-ზე მეტს საზღვარგარეთიდან იღებენ, ვალდებული არიან დარეგისტრირდნენ, როგორც „უცხო ძალის ინტერესების გამტარებელი“. რუსეთში მიღებული კანონმდებლობის მსგავსად, რამაც საბოლოოდ დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების განადგურება გამოიწვია, ეს კანონი სტიგმატიზაციას უწევს ქართული სამოქალაქო

¹⁵ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), „გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა საქართველოში: არსებული მდგომარეობა და რეკომენდაციები“, 2023.

„საბუკო“, „ტიყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/htunNiGx> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹⁶ „მწვანე ალტერნატივა“, „კლიმატის ცვლილება და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში: მზადყოფნის შეფასება და საჭიროებები“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42YqPer> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

„საბუკო“, „ტიყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/htunNiGx> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

საზოგადოების ორგანიზაციების უმრავლესობას, მათი „უცხოელ აგენტებად“ შერაცხვის გზით. ამასთან ერთად, კანონი სახელმწიფო ორგანოებს მონიტორინგის ზედმეტად ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებს. მისი ბუნდოვანი და ფართო დებულებები სახელმწიფო უწყებებს საშუალებას აძლევს, მოითხოვონ ნვდომა ფინანსურ ჩანაწერებსა და შიდა დოკუმენტაციაზე, მათ შორის, სენსიტიურ პერსონალურ მონაცემებზე ჟურნალისტურ წყაროებთან და ბენეფიციარებთან დაკავშირებით. არაპროპორციულად მკაცრი სანქციების მიუხედავად, რომლებიც მოიცავს მძიმე ადმინისტრაციულ ჯარიმებს, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და თავისუფლების აღკვეთას, ასობით ორგანიზაციამ უარი თქვა ამ ავტორიტარული კანონის შესაბამისად რეგისტრაციაზე.¹⁷

აღსანიშნავია, რომ უცხოელი აგენტების კანონის მიღებამდეც, მთავრობის წარმომადგენლები რეგულარულად იყენებდნენ მტრულ რიტორიკას გარემოსდამცველების წინააღმდეგ და ცდილობდნენ მათი აქტივიზმის დისკრედიტაციას, მათი „ეროვნული ინტერესების მტრებად“ შერაცხვის გზით. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების, მაგალითად, ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის (შემდგომში ნამახვანჰესი), საპირისპირო წინააღმდეგობების შემთხვევაში.¹⁸

ზემოაღნიშნული კანონმდებლობის მიღება სერიოზულ უკუსვლას წარმოადგენდა საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და ევროინტეგრაციისთვის. მას თან მოჰყვა მასშტაბური, უწყვეტი საპროტესტო აქციები, რასაც პოლიციამ ძალადობრივი ჩახშობის მეთოდები დაუპირისპირა. კონკრეტული აქტივისტები და ორგანიზაციები კი მთავრობის მიერ ორკესტრირებული შევიწროების კამპანიების სამიზნე გახდნენ.¹⁹

2024 წლის ოქტომბრის სადავო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მმართველმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ შემოიღო დამატებითი

¹⁷ რადიო თავისუფლება, „არავითარი ფორმით არ დავრეგისტრირდებით ღირსების შემლახავ რეესტრში“ - NGO-ების და მედია ორგანიზაციების განცხადება, 2024, ხელმისაწვდომია:

<https://www.radiotavisupleba.ge/a/32920559.html> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

Stopperpersecution.org, „ფართომასშტაბიანი პროტესტის მიუხედავად, საქართველოში მიიღეს უცხოელი აგენტების შესახებ 'რუსული' კანონი“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://stop-persecution.org/russian-foreign-agents-law-in-georgia-adopted-despite-widespread-protests> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹⁸ პირველი არხი, „ირაკლი კობახიძე - ნამახვანჰესის პროექტი იყო გამართული, თუმცა ჩატარდა აქციები, უცხოური დაფინანსებით დაიბლოკა სტრატეგიული ობიექტი და ქვეყანას, შესაძლოა, მოუწიოს მრავალმილიონიანი ზიანის ანაზღაურება“, 2 დეკემბერი, 2024, ხელმისაწვდომია:

<https://cutt.ly/ZrOrdZzj> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, განცხადება - „ხელისუფლების მხრიდან გარემოსდამცველებზე თავდასხმა სახიფათო ტენდენციად იქცა“, 2023, ხელმისაწვდომია:

<https://cutt.ly/RrOrfoOY> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹⁹ Stopperpersecution.org, „ფართომასშტაბიანი პროტესტის მიუხედავად, საქართველოში მიიღეს უცხოელი აგენტების შესახებ 'რუსული' კანონი“, 2024.

შემზღუდავი ზომები, რომლებიც კიდევ უფრო ახშობს სიტყვისა და გაერთიანების თავისუფლებას. მათ შორის, 2025 წლის აპრილში ორი საკანონმდებლო პაკეტი იქნა მიღებული:

- ცვლილებები „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც უცხოელ დონორებს ავალდებულებს, მთავრობის თანხმობა მიიღონ საქართველოში ნებისმიერი ფიზიკური პირის ან ორგანიზაციის დაფინანსებამდე;
- კანონი - „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ (FARA), რომელიც ადგენს „უცხოური პრინციპალის აგენტების“ რეესტრს. კანონი წარმოდგენილ იქნა, როგორც 1938 წელს აშშ-ში მიღებული FARA-ს ასლი, თუმცა, სრულიად განსხვავებული ისტორიული და სამართლებრივი კონტექსტების გამო, მათი შედარება შეცდომაში შემყვანი და არასწორია.²⁰

ამ საკანონმდებლო ინიციატივებს რეპრესიული ზომების აღსრულება მოჰყვა. 2025 წლის ივნისიდან ხელისუფლებამ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინააღმდეგ სამართლებრივი პროცედურების ამოქმედება რამდენიმე ტალღის სახით დაიწყო. 2025 წლის ივნისში, ანტიკორუფციულმა ბიურომ შვიდი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისგან (სამოქალაქო საზოგადოების ფონდი, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), მედიის განვითარების ფონდი (MDF), სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „საფარი“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“) მოითხოვა მოცულობითი იურიდიული, ფინანსური და პერსონალური დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავდა პერიოდს 2024 წლის იანვრიდან 2025 წლის ივნისამდე.²¹ 2025 წლის სექტემბრის განმავლობაში მსგავსი ინფორმაციის მოთხოვნები გაეგზავნა დამატებით დაახლოებით 30 ორგანიზაციას. 2025 წლის ოქტომბრის დასაწყისში ბიურომ კიდევ უფრო გააფართოვა მისი საქმიანობა ორი პოლიტიკური პლატფორმის მიზანში

²⁰ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „გრანტების შესახებ კანონში გატარებული ცვლილებების მიზანია ქართული სამოქალაქო საზოგადოების განადგურება“, 2025, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/ztumGhUL> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

[Civil.ge](https://civil.ge/ka/archives/667170), „დაწვრილებით: უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი“, 2025, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/667170> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

²¹ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ავტორიტარული კანონების აღსრულება ჩვენს მიმართაც დაიწყო - ვაგრძელებთ ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლას!“, 2025, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/GtumZkb7> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

ამოღებით და მოითხოვა ამ მოძრაობებისა და მათი წევრების შესახებ სრული ფინანსური მონაცემები.²²

2025 წლის 11 აგვისტოს, ანტიკორუფციულმა ბიურომ დაიწყო შემოწმება ექვსი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის (სამოქალაქო საზოგადოების ფონდი, ISFED, მედიის განვითარების ფონდი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „საფარი“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“) წინააღმდეგ. ბიუროს მტკიცებით, FARA-ს ფარგლებში „უცხოეთის აგენტებად“ რეგისტრაციაზე უარის თქმით, ორგანიზაციებმა კანონის მოთხოვნა არ შეასრულეს, რის გამოც ბიურომ შესაძლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ მიუთითა. ამ მტკიცებების დასასაბუთებლად, ბიურომ ტერმინი - „პოლიტიკური აქტივობა“ თვითნებურად განმარტა და იგი გაავრცელა პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ გაკეთებულ საჯარო კომენტარებზე. კანონის ასეთი ფართო გამოყენება პირდაპირ ეწინააღმდეგება აშშ-ის FARA-ს სტანდარტებს, რომელიც არ მოითხოვს უცხოური დაფინანსების მქონე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეგისტრაციას მხოლოდ პოლიტიკური გამოსატყვის საფუძველზე, თუ მათ საქმიანობას უცხოელი პრინციპალი არ წარმართავს ან აკონტროლებს.²³

2025 წლის 25 აგვისტოს, საქართველოს პროკურატურამ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში შვიდი არასამთავრობო ორგანიზაციის (სამოქალაქო საზოგადოების ფონდი, ISFED, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „საფარი“, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და „დემოკრატიის მცველები“) საბანკო ანგარიშები გაყინა. გამოძიება ეხება შემდეგი დანაშაულების ბრალდებებს - საბოტაჟი, უცხოეთის ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარების გაწევა, და საქართველოს კონსტიტუციური წყობილების და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობისთვის ფინანსების მობილიზება. ეს ბრალდებები უკავშირდება ორგანიზაციების ლეგიტიმურ საქმიანობას,

²² Civil.ge, „ანტიკორუფციული ბიუროს სამიზნე ორი პოლიტიკური პლატფორმა გახდა“, 2025, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/705303> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს). რადიო თავისუფლება, „ანტიკორუფციული ბიურო უკვე 30 ორგანიზაციას სთხოვს ინფორმაციას - NGO-ები რეპრესიებად მიიჩნევენ ბიუროს მოთხოვნებს“, 2025, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33536858.html> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს). საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „ქართულმა ოცნებამ“ სამოქალაქო საზოგადოების რეპრესიების ახალი ეტაპი 30-მდე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის წინააღმდეგ დაიწყო“, 2025, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/6tuQ034e> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

²³ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ქართული ოცნება“ აგრძელებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დევნას - სოციალური სამართლიანობის ცენტრი ანტიკორუფციულ ბიუროში გაგზავნილი წერილობითი განმარტების ტექსტს აქვეყნებს“, 2025, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/YtuQ4wFD> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

მათ შორის, სამართლებრივი და პრაქტიკული დახმარების გაწევას იმ პირებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ მშვიდობიან, პროევროპულ დემონსტრაციებში. მათ შორის არიან პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობისა და უკანონო დაკავების შედეგად დაზარალებული პირები.²⁴

ამ ფონზე, რეპრესიული ზომების სამიზნე ორგანიზაციები არაერთ სამართლებრივ ბრძოლაში არიან ჩართული, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. მათი საქმიანობისთვის შექმნილი სირთულეების ფონზე, გარემოსდამცველების შესაძლებლობები, რომლებიც ისედაც არასტაბილურ პირობებში მოქმედებენ, მნიშვნელოვნად შესუსტდა. მთავრობის წარმომადგენლების აშკარა მტრული დამოკიდებულება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ ხელს უშლის რეალურ კონსულტაციებს და დაინტერესებული მხარეების შინაარსიან მონაწილეობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

გარემოსდაცვითი აქტივიზმის ჩახშობა

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე ფართომასშტაბიან თავდასხმებთან ერთად, იზრდება გარემოსდამცველების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიული ზომების ტენდენციაც, მათი აქტივიზმის ჩახშობის მიზნით. პროტესტის მონაწილეებისა და მთავრობის კრიტიკოსების წინააღმდეგ რეპრესიული ქმედებების ფართო სპექტრი იქნა გამოყენებული, მათ შორის, უკანონო დაკავებები, ე.წ. SLAPP სარჩელები (სტრატეგიული სარჩელები სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ), სისხლისსამართლებრივი დევნა, ცილისწამების კამპანიები, სამსახურიდან უსამართლო გათავისუფლებები, და სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობა.²⁵

2022 წელს, ნამახვანჭვის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო მოძრაობის ლიდერი, ვარლამ გოლეტიანი, ქუთაისის ტრადიციული მუსიკის სკოლიდან გაათავისუფლეს. გოლეტიანის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება მის გარემოსდაცვით აქტივიზმს უკავშირდებოდა.²⁶

2023 წელს, პოლიციამ 11 დემონსტრანტი წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით დააკავა, მათ შორის, ვარლამ გოლეტიანი. დემონსტრანტები გარემოს დაცვის სამინისტროს შენობის წინ იყვნენ შეკრებილები, რაჭის ტყეებში სამონადირეო ლიცენზიების გაცემის გასაპროტესტებლად.²⁷

²⁴ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ყაღალებისა და რეპრესიების მიუხედავად, ჩვენ არ შევწყვეტთ საქმიანობას“, 2025, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/stuQ5SHP> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

²⁵ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ხელისუფლების მიდგომები გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მიმართ - უგულბელყოფა, დისკრედიტაცია და რეპრესია“, 2025, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/yr7ytQ7n> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე.

2023 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის ხელმძღვანელი, თეა გოდოლაძე, მთავრობის მიერ მხარდაჭერილი დეზინფორმაციული კამპანიის სამიზნე გახდა, რომლის მიზანს წარმოადგენდა შოვში მეწყერის შესახებ მისი პროფესიული შეფასების დისკრედიტაცია.²⁸ იმავე წელს, გოდოლაძეს წაუყენეს ყოფილი პარტნიორის მიმართ ძალადობის უსაფუძვლო ბრალდება, რომლის მსხვერპლად იგი თავად აცხადებდა თავს. სისხლის სამართლის სანქციების შიშით, გოდოლაძემ 2025 წლის იანვარში საქართველო დატოვა.²⁹

ბალდის კანონის დაცულ ტერიტორიაზე ტურისტული ატრაქციონების მშენებლობის საწინააღმდეგო პროტესტის მონაწილეები, ხანგრძლივი პროტესტის განმავლობაში, მუდმივად წარმოადგენდნენ ცილისმწამებლური კამპანიებისა და კომპანიის წარმომადგენლების მხრიდან სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის სამიზნეს.³⁰ 2024 წლის ივლისში, კომპანიასთან დაკავშირებული პირის მეუღლის მიმართ მუქარის განხორციელების უსაფუძვლო ბრალდებით დააკავეს პროტესტის ერთ-ერთი ლიდერი, ინდიკო ბჟალავა.³¹

2024 წლის ივნისში, დაუდგენელი პირები თავს დაესხნენ აქტივისტს სოფელ ზოდოდან, სოფელში სამთომოპოვებითი სამუშაოების წინააღმდეგ დაგეგმილ დემონსტრაციამდე ცოტა ხნით ადრე.³² 2024 წლის დეკემბერში, ელისო ჯანაშიას, გარემოსდამცველ აქტივისტს ქალაქ ფოთიდან, რომელიც ორგანიზებას უწევდა პროევროპულ დემონსტრაციებს, თავს დაესხა პირი, რომელსაც იგი იცნობდა, როგორც მმართველი პარტიის მხარდამჭერს.³³

²⁸ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი თეა გოდოლაძეს სოლიდარობას უცხადებს“, 2023, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/HrOrdwgh> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

²⁹ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ხელისუფლების მიდგომები გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მიმართ - უგულებელყოფა, დისკრედიტაცია და რეპრესია“, 2025.

³⁰ „საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://www.sabuko.org/wp-content/uploads/2025/01/Brochure.pdf> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ხელისუფლების მიდგომები გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მიმართ - უგულებელყოფა, დისკრედიტაცია და რეპრესია“, 2025.

³¹ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი ინდიკო ბჟალავას გათავისუფლებას ეხმაურება“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/LrOrfVgM> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

³² ტაბულა, „აქტივისტ კოტე აბდუშელიშვილს თავს დაესხნენ“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/grOrdMEb> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

³³ [Stoppersecution.org](https://www.stop-persecution.org), „ქართველ აქტივისტს, ელისო ჯანაშიას მშობლიურ ქალაქში თავს დაესხნენ“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://www.stop-persecution.org/georgian-activist-eliso-janashia-assaulted-in-her-hometown> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

ხელისუფლება ადგილობრივ მოსახლეობას ადანაშაულებდა საკუთრების უფლების უკანონო რეგისტრაციაში იმ მიზეზთან მიმართებით, რომლებსაც ისინი ფლობდნენ, როგორც საკუთარს და ისტორიულად მათ მიერ გამოიყენებოდა. მსგავსი ბრალდებებით ხელისუფლება ცდილობდა საზოგადოების წინააღმდეგობის ჩახშობას და ეკონომიკური მიზნებით მიწის გადაცემის გაადვილებას. ეს მოხდა სოფელ შქმერში, სადაც მინერალური რესურსების ეროვნულმა სააგენტომ 2021 წელს სამთომოპოვებითი საქმიანობისთვის ლიცენზიები გასცა, საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის გარეშე. ამ გადაწყვეტილებას საზოგადოების ძლიერი წინააღმდეგობა მოჰყვა. დაზარალებულ მოსახლეობასთან ღია და მონაწილეობითი პროცესის მეშვეობით კომუნიკაციის ნაცვლად, სახელმწიფო ორგანოებმა სისხლის სამართლის საქმე აღძრეს ადგილობრივი მაცხოვრებლების წინააღმდეგ, რომლებმაც 2018-2020 წლებში კანონიერად დაირეგისტრირეს თავიანთი მიწის ნაკვეთები. შედეგად, რამდენიმე პირის წინააღმდეგ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა მიწის ნაკვეთების თაღლითური გზით რეგისტრაციის ბრალდებით.³⁴

ჭიათურის საქმე ასახავს პროტესტის მონაწილეების მიერ განცდილი რეპრესიების მრავალმხრივ ხასიათს.

ჭიათურაში სამთომოპოვებითი საქმიანობით გამოწვეული გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემები დაძაბულობის მუდმივ წყაროს წარმოადგენს, რამაც, 2019 წლიდან ბიძგი მისცა ადგილობრივი თემებისა და გარემოსდამცველი აქტივისტების უწყვეტ პროტესტს. ადგილობრივების განცხადებით, შპს „ჯორჯიან მანგანუზის“ ინტენსიური საქმიანობის შედეგად, რომელსაც მანგანუმის მოპოვების ლიცენზია 2006 წლიდან აქვს, სოფლების ქვეშ მიწა გამოიფიტა, წყალი დაბინძურდა, ჭები დაშრა და სახლები, ინფრასტრუქტურა და სასოფლო-სამეურნეო მიწები განადგურდა. 2022 წელს, სოფელ ითხვისში დაახლოებით 20 სახლი დაინგრა, შუქრუთის მაცხოვრებლები კი მსგავსი ზიანის მუდმივი საფრთხის ქვეშ ცხოვრობენ.³⁵

³⁴ „საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://www.sabuko.org/wp-content/uploads/2025/01/Brochure.pdf> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ხელისუფლების მიდგომები გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მიმართ - უფლებელყოფა, დისკრედიტაცია და რეპრესია“, 2025.

³⁵ საქართველოს სახალხო დამცველი, წლიური ანგარიში, 2022, ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „EMC და 'მწვანე ალტერნატივა' ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუქრუთში მიმდინარე პროცესებს აფასებენ“, 2019, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/kROrsDpf> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „საგანგაშოა, რომ გეოლოგიურ დასკვნაში ითხვისის შესახებ 'ჯორჯიან მანგანუზის' პასუხისმგებლობა არ იკვეთება“, 2022, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/erOrsX9f> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „სოციალური კრიზისი ჭიათურაში: მალაროელებს სახელფასო დავალიანება დაუყოვნებლივ უნდა აუნაზღაურდეთ“, 2025, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/XrOrs8Tf> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).



ფოტო: დაზარალებული სახლი ითხვისში, ჭიათურა / რადიო თავისუფლება

ამ ზემოქმედების სიმძიმის მიუხედავად, არ ჩატარებულა სრულყოფილი კვლევა, რათა შეფასებულიყო სამთომოპოვებითი სამუშაოების ზეგავლენა ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო წყაროებსა და გარემოზე. არც სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის სქემები შემუშავებულა მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად. ითხვისში განვითარებული მოვლენების შესასწავლად 2022 წელს კომისია შეიქმნა, თუმცა, მისი მუშაობა დახურულ კარს მიღმა წარიმართა, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის გარეშე. კომისიის დასკვნა, რომელიც ითხვისში სახლების დაზარალებას კუმულაციურ ფაქტორებს, მათ შორის, საბჭოთა პერიოდის სამთომოპოვებით სამუშაოებს მიაწერს, დღემდე მკაცრი კრიტიკის საგანია.³⁶

2021 წელს, მასშტაბურმა საპროტესტო აქციებმა, მათ შორის, პროტესტის მონაწილეთა შიმშილობამ, კომპანია იძულებული გახადა, ზარალის შეფასებისა და კომპენსაციის დაპირება გაეცა. თუმცა, ოჯახების მხოლოდ მცირე ნაწილმა მიიღო ნაწილობრივი ან არასაკმარისი ანაზღაურება. საპროტესტო აქციები 2024 წელს განახლდა და დღემდე გრძელდება, მათ შორის, ისეთი უკიდურესი ფორმებით, როგორიცაა შიმშილობა და პირის ამოკერვა. უსამართლო რეორგანიზაციის პროცესმა, რომლის შედეგად ასობით მაღაროელი სამსახურიდან გათავისუფლდა, და კომპანიის უარმა, ადეკვატური ანაზღაურება მიეცა მშრომელებისთვის, ადგილობრივი

³⁶ საქართველოს სახალხო დამცველი, წლიური ანგარიში, 2022.

თემების ისედაც მწვავე გარემოსდაცვით პრობლემებს მძიმე ეკონომიკური განზომილება შესძინა.³⁷

ადგილობრივი მაცხოვრებლების წუხილებზე რეაგირების ნაცვლად, სახელმწიფოსა და კომპანიის საპასუხო ნაბიჯს პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ რეპრესიული ზომების გამოყენება წარმოადგენდა. პროტესტის ლიდერებისა და მონაწილეების წინააღმდეგ გამოყენებული იქნა სისხლისსამართლებრივი დევნა, ქონების ჩამორთმევა, სამსახურიდან გათავისუფლება, ცილისწამების კამპანიები და ფიზიკური შეურაცხყოფა. 2024 წლის ივლისში, პროტესტის სამ მონაწილეს ბრალი წაუყენეს სამთომოპოვებითი სამუშაოების შეფერხებისთვის, სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლის თანახმად. მათ სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდათ. 2024 წლის აგვისტოში, ქვეკონტრაქტორმა სოფლის 30 მაცხოვრებლის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელი აღძრა და დაახლოებით 2 მილიონი ევროს ოდენობით ზიანის ანაზღაურება მოითხოვა, ხოლო სასამართლომ ამ მოთხოვნების უზრუნველსაყოფად მოპასუხეთა ქონება დააყადაღა. 2024 წლის ივნისიდან სექტემბრამდე, ხუთი მაღაროელი სამსახურიდან გათავისუფლდა საპროტესტო აქციებში



ფოტო: შუქრუთის მაცხოვრებლების პროტესტი ჭიათურაში, სამთომოპოვებითი სამუშაოების მიერ მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით / OC მედია

³⁷ Stoppersecution.org, „გარემოსდამცველების დევნა საქართველოს სამთომოპოვებით სოფელში“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://stop-persecution.org/persecution-of-environmental-defenders-from-a-georgian-mining-village> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

მონაწილეობის გამო. პროტესტის მონაწილეებს ფიზიკურადაც დაესხნენ თავს კომპანიის წარმომადგენლები, რომლებიც მაღაროს შესასვლელების იძულებით გახსნას ცდილობდნენ. პარალელურად, ხელისუფლება მიმართავდა დეზინფორმაციის კამპანიებს პროტესტის დელეგიტიმაციის მიზნით - ისე წარმოაჩენდა, თითქოს საპროტესტო აქციები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და „რადიკალური ოპოზიციური ძალების“ მიერ იყო ორგანიზებული, რაც ეხმიანება მის უფრო ფართო რიტორიკას, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს საფრთხედ სახავს ქვეყნის ეროვნული ინტერესებისთვის. 2025 წლის აპრილში, პროტესტის მონაწილეებსა და კომპანიის დირექტორს შორის დაძაბულობა ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რის შედეგადაც პროტესტის ოთხი მონაწილე დააკავეს „ჯგუფური ძალადობის ორგანიზების“ ბრალდებით, სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის თანახმად. 1-ლი მაისიდან დღემდე ეს პირები პატიმრობაში იმყოფებიან (ამ ანგარიშის გამოქვეყნების მომენტისთვის - 2025 წლის ნოემბერი). სისხლის სამართლის საქმეზე კი პროცესები ჯერ კიდევ მიმდინარეობს.³⁸

ეს შემთხვევები წარმოაჩენს იმ სერიოზულ და მზარდ რისკებს, რომელთა წინაშეც დგანან საქართველოში გარემოსდამცველები, პროტესტის და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებების გამოყენების გამო. ასეთი რეპრესიები არა მხოლოდ კონკრეტულ აქტივისტებს და ორგანიზაციებს უქმნის საფრთხეს, არამედ ქმნის უფრო ფართო „მსუსხავ ეფექტს“, რომლის მიზანია სამოქალაქო ჩართულობის შეფერხება და შემდგომი გარემოსდაცვითი ინიციატივების ჩახშობა.

³⁸ იქვე.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ქუთაისის საქალაქო სასამართლო ჭიათურაში დაკავებულების მიმართ გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვებაზე 12 ივნისს იმსჯელებს“, 2025, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3jw2ANZ> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

გარემოსდაცვით ინფორმაციაზე წვდომა (მუხლი 4)

გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემა მოთხოვნის შემთხვევაში

გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო, ზოგადად, ადეკვატურია და შეესაბამება ორჰუსის კონვენციით დადგენილ სტანდარტებს. განმცხადებლებს არ მოეთხოვებათ თავიანთი მოთხოვნების დასაბუთება და შეუძლიათ გაეცნონ ინფორმაციას ორიგინალის სახით ან მიიღონ ასლი მათთვის სასურველი ფორმატით. ინფორმაციაზე წვდომისთვის არანაირი საფასური არ არის გადასახდელი, გარდა მოთხოვნილი დოკუმენტების ასლების გადაღებასთან დაკავშირებული გონივრული ღირებულებისა (სზაკ-ის მე-10, 37-ე და 38-ე მუხლები).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო დაწესებულებები ვალდებული არიან გასცენ საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან ცალკეულ შემთხვევებში, არაუგვიანეს ათი დღისა (მუხლი 40(1)). ინფორმაცია, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც კომერციული, პროფესიული ან სახელმწიფო საიდუმლოება, ასევე პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, გათავისუფლებულია გასაჯაროების ვალდებულებისგან (მუხლი 10). გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაიდუმლოება დაუშვებელია (მუხლი 42(„ა“)). გარდა ამისა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გამოაცალკევოს საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია დანარჩენი ნაწილისგან და უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ინფორმაციის არასაიდუმლო ნაწილის გამჟღავნება (მუხლი 33). საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულებამ განმცხადებელს უნდა მიაწოდოს წერილობითი გადაწყვეტილება და აცნობოს გასაჩივრების შესაბამისი ვადებისა და პროცედურების შესახებ (მუხლი 41(2)).

მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი ჩარჩო ფორმალურად უზრუნველყოფს გარემოსდაცვით ინფორმაციაზე წვდომის უფლების გარანტიებს, არსებული საკანონმდებლო ხარვეზები, პრაქტიკული განხორციელების სირთულეებთან ერთად, ხშირად იწვევს ორჰუსის კონვენციის მე-4 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევას.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემის სისტემის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ნაკლოვანება არის ეფექტური საზედამხებელო მექანიზმების არარსებობა, რომლებიც უზრუნველყოფდა საჯარო უწყებების მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულებას. საქართველოში არ არსებობს

დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ორიენტირებული იქნება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაცვაზე. გარემოს დაცვის სამინისტროს არ აქვს უფლებამოსილება, გააკონტროლოს სახელმწიფო ორგანოების მიერ გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემის ვალდებულებების შესრულება. სახალხო დამცველის ოფისი ახორციელებს ზოგად ზედამხედველობას სახელმწიფოს მიერ ინფორმაციის თავისუფლების პრინციპების დაცვის მიმართულებით. თუმცა, მისი განცხადებით, მისი ფართო მანდატი და შეზღუდული ინსტიტუციური შესაძლებლობები ხელს უშლის აწარმოოს ეფექტური და სრულფასოვანი მონიტორინგი ამ საკითხებზე. შედეგად, სასამართლო კონტროლი რჩება ერთადერთ ხელმისაწვდომ მექანიზმად დარღვევებზე რეაგირებისთვის. თუმცა, ეს პროცესი ხანგრძლივია, ბევრ რესურსს მოითხოვს და პრაქტიკაში ეფექტური დაკმაყოფილების შესაძლებლობას არ იძლევა.³⁹

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებებს აკისრიათ ვალდებულება, ყოველწლიურად წარუდგინონ ანგარიში პრეზიდენტს, პარლამენტს და მთავრობას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების შესახებ, რაც დიდწილად არაეფექტურია. არაეფექტურობა გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს რაიმე მექანიზმი მიწოდებული მონაცემების სიზუსტის გადამამოწმებლად, სტანდარტიზებული არ არის ანგარიშგების ფორმატი და შედეგად, სირთულეს წარმოადგენს მონაცემების გაერთიანება. პარლამენტის თემატური მოკვლევის ჯგუფმა, რომელიც შეიქმნა ანგარიშგების მექანიზმის პრაქტიკული ფუნქციონირების შესაფასებლად, პირდაპირ გაუსვა ხაზი აღნიშნულ ნაკლოვანებებს და მექანიზმის სისტემური არაეფექტურობის პრობლემას.⁴⁰ გარდა ამისა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოავლინა 2023 წლის ანგარიშებში, მათ შორის, აშკარა უზუსტობები საჯარო უწყებების მიერ წარდგენილ სტატისტიკურ მონაცემებში. მაგალითად, დაცული ტერიტორიების სააგენტომ განაცხადა, რომ სრულად დააკმაყოფილა ჯამში მიღებული 35 მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაზე, მიუხედავად იმისა, რომ მინიმუმ ერთი მოთხოვნა, რომელიც თავად IDFI-მ გააგზავნა, უპასუხოდ დარჩა.⁴¹

³⁹ საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების სათანადო რეალიზებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო გამოწვევების შესახებ, 2025.

⁴⁰ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა - „საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ამსახველი ანგარიშების წარდგენაზე საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანობა“, 2022, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3LbiVG> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁴¹ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „საჯარო დაწესებულებების 2023 წლის 10 დეკემბრის ანგარიშების სიზუსტის მონიტორინგის შედეგები“, 2023, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3WpCGyw> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების სისტემური უგულებელყოფა

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არ არსებობს კონსოლიდირებული სტატისტიკა, რაც ხელს უშლის საერთო მდგომარეობის სრულყოფილ შეფასებას და სისტემური ტენდენციების გამოკვეთას. მიუხედავად ამისა, არსებული მონაცემები ნათლად აჩვენებს, რომ ინფორმაციაზე ეფექტური წვდომისთვის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს საჯარო უწყებების მიერ ინფორმაციის მოთხოვნების მუდმივი უგულებელყოფა და უარი პასუხის გაცემაზე.⁴² იმ შემთხვევებში, როდესაც პასუხები გაცივდა, ისინი ხშირად არასრულყოფილია და იშვიათად პასუხობენ მოთხოვნებს სრულად.

ამ ანგარიშის მომზადების პროცესში, 29 საერთო სასამართლოდან იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმასთან, ასევე გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან, სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებასა და გარემოსდაცვით ნებართვებთან დაკავშირებული სარჩელების თაობაზე. კვლევის შედეგები წარმოაჩენს პრაქტიკაში არსებულ სერიოზულ ხარვეზებს: 29 სასამართლოდან მხოლოდ 14-მა გასცა პასუხი კანონით დადგენილ ვადაში, რომელთაგან ექვსმა უარი თქვა ინფორმაციის გაცემაზე. უარის ძირითადი დასაბუთება იყო ადამიანური და ტექნიკური შესაძლებლობების ნაკლებობა მოთხოვნილი მონაცემების შეროვნებისა და სისტემატიზაციისთვის, განსაკუთრებით, ასეთი კლასიფიკაციისთვის შემუშავებული სტატისტიკური სისტემების არარსებობის პირობებში. მსგავსი ტენდენცია დაფიქსირდა მუნიციპალურ დონეზეც, სადაც 64 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ 27-მა გასცა პასუხი კანონით დადგენილ ვადაში ინფორმაციის მოთხოვნებს საზოგადოების მონაწილეობისა და ინფორმაციაზე წვდომის უფლებებთან დაკავშირებით.

IDFI-მ ბოლო წლებში მკვეთრად უარყოფითი ტენდენცია დააფიქსირა საჯარო უწყებების მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. ამ მხრივ, მდგომარეობა განსაკუთრებით 2022 წლიდან გაუარესდა. 2022 წელს, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების მხოლოდ 33%-ს გაეცა სრულად დამაკმაყოფილებელი პასუხი, მხოლოდ 35%-ს გაეცა პასუხი კანონით დადგენილ ვადაში, ხოლო 58% პასუხგაუცემელი დარჩა. ეს გაუარესება განსაკუთრებით თვალსაჩინოა გარემოს დაცვის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ ათ უწყებაში. IDFI-ის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი 25 მოთხოვნიდან სრულად მხოლოდ ორი დაკმაყოფილდა, ხოლო 23 უპასუხოდ დარჩა, რაც, წინა წელთან შედარებით, საჯარო ინფორმაციის გაცემის მაჩვენებლის 88%-იან შემცირებას წარმოადგენს. ეს მდგომარეობა სერიოზული უკუსვლაა ინფორმაციის გამჭვირვალობის თვალსაზრისით. ანალოგიურად, IDFI-ის მიერ 2022 წელს

⁴² საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების სათანადო რეალიზებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო გამოწვევების შესახებ, 2025.

წარდგენილი 22 მოთხოვნიდან არცერთს არ უპასუხეს შემდეგმა უწყებებმა: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ, დაცული ტერიტორიების სააგენტომ, ველური ბუნების ეროვნულმა სააგენტომ, მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულმა სააგენტომ, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტომ, მინერალური რესურსების ეროვნულმა სააგენტომ და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა.⁴³

ეს ნეგატიური ტენდენცია დაადასტურეს სახალხო დამცველის აპარატმა და გარემოსდაცვითმა ორგანიზაციებმა. მათი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ გარემოსდაცვით ინფორმაციაზე წვდომა 2022 წლამდეც პრობლემური იყო, 2022 წლიდან ხელისუფლება ან მოკლე და არაადეკვატური პასუხებით შემოიფარგლება, ან ფაქტობრივად საერთოდ არ სცემს პასუხს ინფორმაციის მოთხოვნებს, რაც პრაქტიკაში ასეთი მოთხოვნების წარდგენას აზრს უკარგავს.⁴⁴

დაუსაბუთებელი უარები

საჯარო ორგანოები ხშირად დაუსაბუთებლად უარს ამბობენ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და ამ პროცესში არასწორად განმარტავენ და იყენებენ სამართლებრივ ნორმებს.

ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დასახელებული საფუძველი გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას არის მტკიცება, რომ მოთხოვნის შესრულება გამოიწვევს „არაგონივრულ ადმინისტრაციულ ტვირთს“. პრაქტიკაში, საჯარო უწყებები ხშირად უგულებელყოფენ ვალდებულებას, გამოაცალკევონ და გაამჟღავნონ ინფორმაციის არაკონფიდენციალური ნაწილი. ამის გასამართლებლად, ისინი აცხადებენ, რომ მონაცემების დეპერსონალიზაცია ან დაშტრიხვა ზემოაღნიშნულ არაგონივრულ ტვირთს გამოიწვევს. გარდა ამისა, მოთხოვნები ხშირად უარყოფილია იმ მოტივით, რომ მათი შესრულება მოითხოვს კოორდინაციას სხვადასხვა საჯარო უწყებას შორის, სხვა ორგანოებთან კონსულტაციებს, გაფანტული დოკუმენტების კონსოლიდაციას ან დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებას.⁴⁵

⁴³ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში“, 2022, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/public/upload/oo_studies/2023/access_to_public_information_in_georgia_2022.pdf (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁴⁴ საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების სათანადო რეალიზებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო გამოწვევების შესახებ, 2025.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ხელისუფლების მიდგომები გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მიმართ - უგულებელყოფა, დისკრედიტაცია და რეპრესია“, 2025.

⁴⁵ საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების სათანადო რეალიზებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო გამოწვევების შესახებ, 2025.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა დაასახელეს შემთხვევები, როდესაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გარემოსდაცვით ინფორმაციაზე წვდომა შეზღუდა გარემოსდაცვითი ინფორმაციის შინაარსის შეუსაბამოდ ვიწრო განმარტების გამოყენებით.⁴⁶ გარდა ამისა, ინფორმაციის საჯაროობისგან გამონაკლისი შემთხვევები ყოველთვის არ არის განმარტებული ვიწროდ და ასევე, მათი გამოყენებისას არ ხდება უპირატესი საჯარო ინტერესის სათანადო გათვალისწინება.⁴⁷

აღსანიშნია, რომ გარემოსდაცვითი ინფორმაციის გარკვეულ კატეგორიებზე წვდომა კანონმდებლობით იყო შეზღუდული. კერძოდ, მთავრობის N515 დადგენილება, რომელიც არეგულირებს გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებს გარეთ არსებულ ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებით, ითვალისწინებდა შესაძლებლობას, გასაიდუმლოებულიყო ასეთი პროექტების განხორციელების შესახებ წარდგენილი განაცხადი და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია, კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე. ეს დებულება იძლეოდა ინფორმაციის გასაიდუმლოების საშუალებას სათანადო დასაბუთებისა და საჯარო ინტერესის ტესტის გამოყენების გარეშე. სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ შეტანილი კონსტიტუციური სარჩელის შედეგად, 2025 წლის ოქტომბერში საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად ცნო აღნიშნული დებულება და დაადგინა, რომ იგი არღვევდა კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებულ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას. სასამართლომ საჭიროდ არ ჩათვალა დამატებით შეეფასებინა, თუ რამდენად შეესაბამებოდა სადავო დებულება კონსტიტუციის 29-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების კონკრეტულ უფლებას, რითაც თავიდან აიცილა განმარტება, კვალიფიცირდებოდა თუ არა სადავო ინფორმაცია, როგორც გარემოსდაცვითი ინფორმაცია.⁴⁸

საჯარო უწყებების პრაქტიკაში ასევე ფიქსირდება მუდმივი ტენდენცია, როდესაც ისინი ზღუდავენ წვდომას მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე გარემოსდაცვით ინფორმაციაზე, როგორცაა მსხვილი სანარმოების საქმიანობა სამთომოპოვებით სექტორში და მასშტაბური

⁴⁶ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და „გერმანული თანამშრომლობა“ (German Cooperation), „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, 2023, ხელმისაწვდომია: <https://www.undp.org/ka/georgia/publications/environmental-justice> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁴⁷ საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების სათანადო რეალიზებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო გამოწვევების შესახებ, 2025.

⁴⁸ საქართველოს მთავრობის დადგენილება N515, 2018, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4356735?publication=6> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება N1/12/1694, 2025, ხელმისაწვდომია:

<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=18485> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

ჰიდროელექტროსადგურების პროექტები, რასაც ქვემოთ აღწერილი შემთხვევები ასახავს.⁴⁹

2022 წლის ნოემბერში, გარემოსდაცვითმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსგან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია, რომელიც მოიცავდა დოკუმენტაციას წიაღის მოპოვების ლიცენზიებთან, მათ შორის, შპს ჯორჯიან მანგანუზის ლიცენზიასთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციას სამთომოპოვებით სექტორში გამოყენებული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ. სააგენტომ მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა, სამ თვეზე მეტი ხნის დაგვიანებით და მხოლოდ მას შემდეგ, რაც საკითხი განსახილველად ზემდგომ ორგანოს გადაეცა. მოთხოვნის ნაწილი, რომელიც ეხება სააგენტოს მიმოწერას „ჯორჯიან მანგანუზთან“ და მასთან დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, დღემდე უპასუხოდ რჩება.⁵⁰ გარემოს დაცვის სამინისტრომ ასევე უარი თქვა „ჯორჯიან მანგანუზთან“ დაკავშირებული მიმოწერისა და ნებისმიერი სხვა ოფიციალური დოკუმენტის გასაჯაროებაზე. სამინისტრომ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ წარდგენილი საჩივარიც განუხილველი დატოვა.⁵¹ სამინისტროს ორივე უარი 2023 წლიდან სასამართლო განხილვის მოლოდინშია.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა არ გასცა ინფორმაცია ჭიათურისა და ონის მუნიციპალიტეტებში სავარაუდო უკანონო სამთომოპოვებით საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული საჩივრებისა და შეტყობინებების, და საპასუხო რეაგირების ზომების შესახებ. 2022 წლის მოთხოვნა 2023 წლიდან სასამართლო განხილვის მოლოდინშია.⁵²

2023 წელს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა არ დააკმაყოფილა მედია ორგანიზაცია „მთის ამბების“ მიერ წარდგენილი მოთხოვნა ჭიათურის მუნიციპალიტეტში ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების შესახებ მონაცემების მიწოდებასთან დაკავშირებით. უარის გამამართლებელ მიზეზად მითითებული იყო, რომ მოთხოვნილი მონაცემები ზედმეტად მოცულობითია, მათი დეპერსონალიზაცია

⁴⁹ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და „გერმანული თანამშრომლობა“ (German Cooperation), „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, 2023.

⁵⁰ „მწვანე ალტერნატივა“, „მწვანე ალტერნატივა საჯარო ინფორმაციის გადმოცემას ითხოვს“, 2023, ხელმისაწვდომია: https://greenalt.org/disputes_complaints/court_claim_nam_public_information/ (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁵¹ „მწვანე ალტერნატივა“, „მწვანე ალტერნატივა შპს ჯორჯიან მანგანუზის საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის გადმოცემას ითხოვს“, 2023, ხელმისაწვდომია: https://greenalt.org/disputes_complaints/court_claim_moe_gm/ (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁵² „მწვანე ალტერნატივა“, „მწვანე ალტერნატივა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის გადმოცემას ითხოვს“, 2023, ხელმისაწვდომია: https://greenalt.org/disputes_complaints/court_claim_des/ (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს და ინფორმაციის გარკვეული ელემენტები მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიების საქმის მასალებს წარმოადგენს, რომელთა გამჟღავნებაც საგამოძიებო ორგანოებმა შეუსაბამოდ მიიჩნიეს.⁵³

გარემოსდაცვითი ინფორმაციის პროაქტიული გავრცელება

გარემოსდაცვითი ინფორმაციის დამუშავება, განახლება და ადეკვატური გავრცელების უზრუნველყოფა

გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიმოცვლა სხვადასხვა უწყებებს შორის სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი, რაც იწვევს მონაცემების ფრაგმენტაციას.⁵⁴ ჯერჯერობით არ არსებობს ერთიანი, ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზა გარემოსდაცვითი ინფორმაციის კონსოლიდაციისთვის. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული გამოწვევები ხაზგასმულია ასევე საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნულ პროგრამაში. დოკუმენტის თანახმად, ასეთი ინფორმაცია მიმოფანტულია სხვადასხვა დაწესებულებებს შორის, რომლებიც მას ფლობენ ან აწარმოებენ, და არ არსებობს ეფექტური მექანიზმები მონაცემების ერთ პლატფორმაზე გასაერთიანებლად.⁵⁵ მონაცემთა მუდმივი ფრაგმენტაცია გარემოსდაცვითი ინფორმაციის არასაკმარის ხელმისაწვდომობას განაპირობებს.

გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ პროგრესია მიღწეული სხვადასხვა ონლაინ საინფორმაციო პორტალების შემუშავების მხრივ, ამ პლატფორმების მეშვეობით ხელმისაწვდომი მონაცემები ხშირად არასრული და/ან მოძველებულია.

⁵³ საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების სათანადო რეალიზებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო გამოწვევების შესახებ, 2025.

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და „გერმანული თანამშრომლობა“ (German Cooperation), „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, 2023.

Mtisambebi.ge, „მთის ამბები“ სასამართლოში ჩივის ჭიათურაში ჰაერის დაბინძურების დასკვნების გადმოსაცემად“, 2023, ხელმისაწვდომია: <https://mtisambebi.ge/news/item/1620> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁵⁴ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და „გერმანული თანამშრომლობა“ (German Cooperation), „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, 2023.

⁵⁵ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა, 2022, ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

მაგალითად:

- ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი (atlas.mepa.gov.ge), რომელიც მიზნად ისახავს ტყეებისა და მიწათსარგებლობის შესახებ გამჭვირვალე სივრცითი მონაცემების წარმოდგენას, იშვიათად ახლდება და ტექნიკურად არასანდოა. ტექნიკური ხარვეზების გამო, ძირითადი მახასიათებლები, როგორიცაა ტყის საფარის ცვლილებისა და მიწის დეგრადაციის ამსახველი რუკები, ამჟამად მიუწვდომელია. ადრე ხელმისაწვდომი ინფორმაცია ახლა საიტზე აღარ იძებნება, მათ შორის, მონაცემები მინერალური რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებთან დაკავშირებით.⁵⁶
- გეოგრაფიული საინფორმაციო პორტალი (portal.mepa.gov.ge) მხოლოდ შეზღუდულ მონაცემებს გვთავაზობს და აღარ აჩვენებს ტყის საფარის ამსახველ თემატურ რუკებს.⁵⁷
- საქართველოს წყლის საინფორმაციო სისტემა (wis.mepa.gov.ge) არ ასახავს რაოდენობრივ მონაცემებს წყლის რესურსების შესახებ, ხოლო თვისობრივი მონაცემები შეზღუდულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ 2018 წლამდე.

სამთავრობო უწყებების ძალისხმევა, პროაქტიულად გაავრცელონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, კვლავ არათანმიმდევრული და დიდწილად არაადეკვატურია. ბევრი დაწესებულება რეგულარულად არ აახლებს ოფიციალურ ვებგვერდებზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რაც განაპირობებს მნიშვნელოვან ხარვეზებსა და მოძველებულ შინაარსს. ხშირ შემთხვევაში, გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ სასამართლო პროცესების შედეგად და არა პროაქტიული ღონისძიებების გზით. გარდა ამისა, სისტემური შეფერხებები გარემოსდაცვითი მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გამოქვეყნების პროცესში მნიშვნელოვნად აუარესებს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის დროულობას და რელევანტურობას.

მაგალითად:

- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს 2023 წლის შემდეგ არ გამოუქვეყნებია წლიური ანგარიში, ხოლო სამრეწველო ემისიებისა და ნარჩენების მართვის შესახებ ბოლო საჯაროდ ხელმისაწვდომი ინსპექტირების ანგარიში 2022 წლით თარიღდება.⁵⁸ დეპარტამენტის სტატისტიკა უკანონო სამთომოპოვებითი საქმიანობის შესახებ მხოლოდ შეზღუდულად, სამთვიან პერიოდზე გახდა ხელმისაწვდომი 2024 წელს.⁵⁹
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების შესახებ ყოველწლიური სტატისტიკური ანგარიში 2023 წლის შემდეგ არ განახლებულა.⁶⁰

⁵⁶ „საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ <https://des.gov.ge/Ge/WasteManagementControl?page=5&pageSize=9>

⁵⁹ <https://des.gov.ge/Ge/StatisticsofIllegalExtraction>

⁶⁰ <https://www.geostat.ge/ka/single-categories/109/sakartvelos-bunebrivi-resursebi-da-garemos-datsva>

- 2023 წლამდე ყოველწლიური გეოლოგიური ბიულეტენი სტიქიური უბედურებებისა და გეოლოგიური პროცესების შედეგების შესახებ (შემდგომში: გეოლოგიური ბიულეტენი) პროაქტიულად არ ქვეყნდებოდა. მისი მიღება მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში იყო შესაძლებელი. 2023 წელს, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ უარი თქვა ბიულეტენის გაცემაზე, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი „მწვანე ალტერნატივამ“ ოფიციალურად გამოითხოვა. ბიულეტენი მხოლოდ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ გახდა ხელმისაწვდომი. მიუხედავად იმისა, რომ ბიულეტენები ამჟამად ქვეყნდება, ეს პროცესი მნიშვნელოვნად გვიანდება და ისინი განთავსებულია ვებგვერდის იმ განყოფილებაში, რომელიც რთულად იძებნება.⁶¹
- გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გარემოს დაბინძურების შესახებ ყოველთვიური ბიულეტენების გამოქვეყნება 2023 წელს დაიწყო, „მწვანე ალტერნატივის“ მიერ სასამართლო პროცესების ინიცირების შემდეგ.⁶² თუმცა, გამოქვეყნება მნიშვნელოვნად გვიანდება და ბოლო ხელმისაწვდომი ბიულეტენი 2025 წლის აგვისტოთი თარიღდება.⁶³
- 2018-2021 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული ანგარიში მხოლოდ 2023 წელს იქნა მიღებული.⁶⁴

მონაცემთა მზაობა და ხელმისაწვდომობა

გარემოსდაცვითი მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზების მექანიზმები კვლავ მოძველებული და არაადეკვატურია. პასუხისმგებელ უწყებებს ხშირად აკლიათ ტექნიკური შესაძლებლობები და აღჭურვილობა ეფექტური სავიდეო და ლაბორატორიული შემოწმებების ჩასატარებლად, რაც ხელს უშლის სანდო გარემოსდაცვითი ინფორმაციის წარმოებას.⁶⁵ პრობლემურია ასევე ინფორმაციის გამოქვეყნება ისეთ ფორმატებში, რომლებიც მომხმარებელზე არ არის მორგებული, რაც აფერხებს მათ საჯარო ხელმისაწვდომობას. საჯარო უწყებების მიერ გამოქვეყნებული გარემოსდაცვითი მონაცემები ხშირად წარმოდგენილია ზედმეტად ტექნიკურ ან ფრაგმენტირებულ ფორმატებში, რაც ფართო საზოგადოებისთვის ართულებს მათ ინტერპრეტაციას, ანალიზს და ეფექტურ გამოყენებას.

⁶¹ <https://nea.gov.ge/Ge/Departments/Geology>.

ინფორმაცია მოწოდებულია „მწვანე ალტერნატივას“ მიერ.

⁶² „მწვანე ალტერნატივა“, ადმინისტრაციული დავები, 2023, ხელმისაწვდომია: https://greenalt.org/disputes_complaints/mwvane-alternativa-garemos-mdgomareobis-shesakheb-informacia-itkhovs/ (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁶³ <https://nea.gov.ge/Ge/Departments/Polution/Biuletins>.

ინფორმაცია მოწოდებულია „მწვანე ალტერნატივას“ მიერ.

⁶⁴ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2018-2021 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება, ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/Reports?page=3&pageSize=9> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁶⁵ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), „გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა საქართველოში: არსებული მდგომარეობა და რეკომენდაციები“, 2023.

მნიშვნელოვანი მონაცემთა ხარვეზები არსებობს მრავალ სფეროში, მათ შორის:

გეოლოგიური მონაცემები და მინერალური რესურსებით სარგებლობა

გეოლოგიური მონაცემების შეგროვება, შენახვა და ხელმისაწვდომობა, ასევე მონაცემთა გაანალიზებისთვის საჭირო ტექნიკური შესაძლებლობები კვლავ შეზღუდულია. არ არსებობს გეოლოგიური რუკა, რომელიც სრულ სურათს მოგვცემდა ქვეყნის მინერალურ რესურსებთან დაკავშირებით.⁶⁶ არსებული გეოლოგიური მონაცემთა ბაზები მოძველებულია, ხოლო მათი ინტეგრირება კვლავ მნიშვნელოვან ტექნიკურ გამოწვევას წარმოადგენს. პრაქტიკაში, მონაცემთა ფრაგმენტაცია ხშირად იწვევს კვლევებსა თუ სხვა სანებართვო დოკუმენტაციაში არასრულყოფილი და არასწორი ინფორმაციის მითითებას საპროექტო ტერიტორიებისა და იმ ეკოსისტემების შესახებ, რომლებიც ექვემდებარებიან გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.⁶⁷

მინერალური რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა წლების განმავლობაში პრობლემური იყო. 2023 წელს, მინერალური რესურსების ეროვნულმა სააგენტომ უარი თქვა „მწვანე ალტერნატივას“ ჯამში ხუთ მოთხოვნაზე ლიცენზიების რეესტრზე წვდომასთან დაკავშირებით. ამჟამად, რეესტრი ხელმისაწვდომია მხოლოდ Excel-ის დაუმუშავებელი ცხრილის სახით, რომელიც მომხმარებლისთვის მოსახერხებელი არ არის და შეზღუდულ ინფორმაციას გვანვდის ლიცენზიის მფლობელის ვინაობის, ლიცენზიის ადგილმდებარეობის, ფართობისა და ხანგრძლივობის შესახებ. ასევე, ის არ უთითებს ბოლო განახლების თარიღს.⁶⁸

სამთომოპოვებითი სექტორის სუსტმა ზედამხედველობამ კიდევ უფრო შეაფერხა გარემოსდაცვითი ინფორმაციის მზაობა და ხელმისაწვდომობა. 2025 წელს განხორციელებულ ინსტიტუციურ რესტრუქტურისაციამდე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ მოქმედი მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელი იყო წიაღის მოპოვების ლიცენზიების ზედამხედველობაზე. სააგენტოს მანდატი ვიწროდ იყო ფოკუსირებული ლიცენზიის პირობების დაცვის შემოწმებაზე, რის გამოც მის მიერ ჩატარებული ინსპექტირებები ტექნიკურ და პროცედურულ მოთხოვნებზე კონცენტრირდებოდა, გარემოზე უფრო ფართო ზემოქმედების შეფასების ნაცვლად. აღსრულების ზომებთან დაკავშირებული მონაცემები

⁶⁶ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა წიაღისეულის მოპოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში“, 2022, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/JtuXJQg4> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁶⁷ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა, 2024, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/er7t2Lok> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁶⁸ <https://www.namr.gov.ge/licenses?scrollTo=license-transfer-application-samples>.

ინფორმაცია მოწოდებულია „მწვანე ალტერნატივას“ მიერ.

ცხადყოფს, რომ დაკისრებული ჯარიმების უმეტესობა პროცედურულ დარღვევებს უკავშირდებოდა, როგორიცაა საჭირო დოკუმენტაციის გარეშე საქმიანობა, და არა გარემოზე მიყენებულ არსებით ზიანს. ასევე, ძალიან დაბალი იყო ინსპექტირებების სიხშირე - 2021 წელს მხოლოდ 184 ინსპექტირება ჩატარდა, ხოლო 2022 წელს - 191, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში მოქმედი ლიცენზიების რაოდენობა 4000-ს აღემატებოდა. არაადეკვატური ზედამხედველობა წარმოშობდა ფრაგმენტულ და არასანდო ინფორმაციას, რაც ზღუდავდა საზოგადოების წვდომას მნიშვნელოვან მონაცემებზე სამთომოპოვებითი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით. ხშირმა ინსტიტუციურმა რესტრუქტურიზაციამ კიდევ უფრო შეაფერხა ინფორმაციის უწყვეტობა, რამაც ხელი შეუშალა მონაცემთა თანმიმდევრულ შეგროვებას და გარემოსდაცვით სექტორში გრძელვადიან გამჭვირვალობას.⁶⁹

მიუხედავად იმისა, რომ კანონი წიაღის მოპოვების ლიცენზიის მფლობელებისგან მოითხოვს ყოველწლიური ანგარიშების წარდგენას სალიცენზიო პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, ამ ვალდებულების შინაარსი შეზღუდულია. ის არც სამთომოპოვებითი საქმიანობის დინამიურ და ცვალებად ბუნებას ითვალისწინებს და არც გარემოზე ზემოქმედების სრულყოფილ შეფასებას მოიცავს. გარდა ამისა, არასაკმარისია ანგარიშების ამ მოთხოვნის აღსრულების მაჩვენებელი. მაგალითად, „მწვანე ალტერნატივა“ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქვიშა-ხრეშის მოპოვების 128 ლიცენზიის მფლობელიდან 40-მა სრულად არ შეასრულა ანგარიშების ვალდებულებები. აღსანიშნია ასევე, რომ ამ ანგარიშებში მოცემული ინფორმაცია, ისევე როგორც მონაცემები კომპანიების მიერ სალიცენზიო პირობების შესრულებასა და მასთან დაკავშირებულ სამართალდამცავ ზომებთან დაკავშირებით, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში. ასეთი მოთხოვნები კი ხშირად დაყოვნებულია, უარყოფილია ან მხოლოდ ნაწილობრივ სრულდება.⁷⁰

69 „მწვანე ალტერნატივა“, „საქართველოს სამთომოპოვებითი სექტორის გამოწვევები - მოკლე მიმოხილვა“, 2024, ხელმისაწვდომია: https://greenalt.org/app/uploads/2024/11/georgia_mining-sector-challenges_2024_ge.pdf (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „სამთო-მოპოვებით საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ხარვეზები“, 2022, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/9tuX4uDe> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, მუხლები 21(3) და 21(6), ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/26824?publication=118> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), „გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა საქართველოში: არსებული მდგომარეობა და რეკომენდაციები“, 2023.

70 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „სამთო-მოპოვებით საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ხარვეზები“, 2022. „მწვანე ალტერნატივა“, „საქართველოს სამთომოპოვებითი სექტორის გამოწვევები - მოკლე მიმოხილვა“, 2024.

ჰიდროლოგიური მონაცემები

მიუხედავად იმისა, რომ ჰიდროლოგიური მონიტორინგის სისტემა საქართველოში ბოლო წლებში გაფართოვდა, კვლავ უკიდურესად არასაკმარისია მონაცემები ქვეყნის წყლის რესურსების, მათ შორის, განახლებადი მტკნარი წყლის შესახებ. სრულყოფილი და სანდო ინფორმაციის ნაკლებობა, მონიტორინგის მექანიზმების არაადეკვატურობა და არასრული მონაცემთა ბაზები შეუძლებელს ხდის, შეფასდეს ტენდენციები ან ცვლილებები ჰიდროლოგიური რესურსების რაოდენობრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით.⁷¹

ტყის მართვა

ინფორმაცია არ ქვეყნდება პროაქტიულად ტყითსარგებლობის შეთანხმებებთან, კონცესიებთან და მონიტორინგის შედეგებთან დაკავშირებით. სახელმწიფოს მართვის ქვეშ არსებული ტყეების მართვის გეგმები იშვიათად არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. ეროვნულ სატყეო სააგენტოს პასუხი არ გაუცია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა წარადგინეს, ტყის მართვის გეგმებსა და მათთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე წვდომის მოპოვების მიზნით. ეს მოთხოვნები უპასუხოდ დარჩა ადმინისტრაციული საჩივრების შეტანის შემდეგაც. მართვის გეგმები, რომლებიც ხელმისაწვდომია, დაწერილია ზედმეტად ტექნიკური ენით, რის გამოც ისინი გაუგებარია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემებისთვის. შედეგად, საზოგადოების ცნობიერება და ჩართულობა შეზღუდულია.⁷²

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემის (FIMS) შექმნას, მონაცემების კონსოლიდაციისთვის ხე-ტყის აღრიცხვის, სარგებლობის, აღდგენის, კვლევისა და ინსპექტირების საკითხებზე, გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ სისტემა ჯერ არ არის პრაქტიკულად დანერგილი.⁷³

⁷¹ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა, 2022, ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს). საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2018-2021 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება, (გვ. 59) ხელმისაწვდომია:

<https://mepa.gov.ge/Ge/Reports?page=3&pageSize=9> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

„საბუკო“, „ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პრობლემები საქართველოში“, 2023, ხელმისაწვდომია: https://www.sabuko.org/wp-content/uploads/2024/01/policy_paper_sabuko_online_FINAL_geo.pdf (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁷² „საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024.

⁷³ იქვე.

კლიმატის ცვლილების ზეგავლენა

კლიმატის ცვლილების შედეგები არ არის სათანადოდ შესწავლილი.⁷⁴ კლიმატური რისკების რეგულარული და ყოველმხრივი შეფასების ნაცვლად, შეფასებები სპორადულად ტარდება და ძირითადად კონკრეტულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ან დაგეგმილ აქტივობებს უკავშირდება. არსებული შეფასებები, როგორც წესი, ზოგადი ხასიათისაა და არ მოიცავს საკმარის დეტალებს სექტორული და გეოგრაფიული სპეციფიკის გათვალისწინებით. შედეგად, კვლავ სახეზეა მნიშვნელოვანი მონაცემთა ხარვეზები, რაც ხელს უშლის ადაპტაციის ზომების შემუშავებას და ეფექტურ განხორციელებას.⁷⁵

გარემოს დაბინძურება

მონიტორინგის და ზედამხედველობის არსებული მექანიზმები არ აჩვენებს სრულყოფილ სურათს გარემოს მდგომარეობის და დაბინძურების დონეების, მათ შორის, სამრეწველო გამონაბოლქვების და ჰაერისა და წყლის დაბინძურების შესახებ.

საქართველოში გარემოსდაცვითი ნებართვების ამჟამინდელ სისტემას აკლია მექანიზმები, რომლის მეშვეობით რეგულარულად გადაიხედება ნებართვები და უწყვეტად შეფასდება სამრეწველო საქმიანობის გარემოზე ზემოქმედება.⁷⁶ გარემოსდაცვით ნებართვებთან დაკავშირებული დოკუმენტები ხშირად მიმოფანტულია რამდენიმე სამთავრობო უწყებას და დეპარტამენტს შორის, რაც ართულებს ეფექტურ ზედამხედველობას. ეს ფრაგმენტაცია ხელს უშლის დროული და უახლესი კვლევების ჩატარების შესაძლებლობას გამონაბოლქვების და მათი გარემოზე ზემოქმედების შესახებ.⁷⁷

მიუხედავად იმისა, რომ 2023 წელს მიღებული საქართველოს კანონი „სამრეწველო ემისიების შესახებ“ ნერგავს ინტეგრირებული ნებართვების სისტემას, რომელიც მიზნად ისახავს მარეგულირებელი და მონაწილეობითი ჩარჩოს გაუმჯობესებას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის გასაძლიერებლად, მისი სრული ამოქმედება მნიშვნელოვნად დაგვიანდა. ამ კანონის ძირითადი დებულებები ძალაში 2026 წლის სექტემბრამდე არ შევა.

არ არსებობს საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზა დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის შესახებ

⁷⁴ „მწვანე ალტერნატივა“, „კლიმატის ცვლილება და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში: მზადყოფნის შეფასება და საჭიროებები“, 2024.

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), „გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა საქართველოში: არსებული მდგომარეობა და რეკომენდაციები“, 2023.

⁷⁷ იქვე.

(PRTR მონაცემთა ბაზა), როგორც ამას ორჰუსის კონვენციის ოქმი „დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრის შესახებ“ მოითხოვს (PRTR ოქმი).⁷⁸

ჰაერის დაბინძურება

2023 წელს, „არნიკამ“ საქართველოში ჰაერის დაბინძურების შესახებ ორი კვლევა ჩაატარა, რომელთა თანახმად, ჰაერის დაბინძურების მთავარ ანთროპოგენურ წყაროებს მრეწველობა, ტრანსპორტი და ენერგეტიკა წარმოადგენდა. კვლევის შედეგებით, ყველაზე მეტად დაბინძურებულ ადგილებს შორისაა თბილისი და რუსთავი, სადაც აზოტის დიოქსიდის (NO₂) და მყარი ნაწილაკების (PM₁₀) მომატებული კონცენტრაცია ფიქსირდება. ქალაქ რუსთავში PM₁₀-ის კონცენტრაცია 24-საათიან ზღვრულ ნორმას აღემატებოდა ნახევარ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, რაც ჰაერის დაბინძურების განსაკუთრებით სერიოზულ დონეზე მიუთითებს.⁷⁹

ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ეროვნული ქსელი, რომელიც მხოლოდ 15 ავტომატურ სადგურს მოიცავს (მესტია – 1; ახალციხე – 1; ბათუმი – 2; ზუგდიდი – 1; თბილისი – 6; რუსთავი – 2; ქუთაისი – 2),⁸⁰ უკიდურესად არასაკმარისია ქვეყნის მასშტაბით სრულყოფილი დაფარვის უზრუნველსაყოფად. აღსანიშნია, რომ სადგურების უმეტესობა განთავსებულია დიდ ქალაქებში, რის შედეგადაც ეროვნულ დონეზე წარმომადგენლობა შეზღუდულია, რადგან მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი პატარა ქალაქებიდან, სოფლებიდან ან შორეული რეგიონებიდან.⁸¹

მონაცემთა შეგროვებაში არსებულ ხარვეზებთან ერთად, პრობლემურია ასევე დაბინძურების დონეების შესახებ მონაცემთა ხელმისაწვდომობის არასათანადო უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ჰაერის ხარისხის მონიტორინგის პორტალის (air.gov.ge) შექმნა, რომელიც ყოველდღიურ და ყოველთვიურ მონიტორინგის შედეგებს საჯაროდ ხელმისაწვდომს ხდის, მისასაღმებელი ნაბიჯია, ჰაერის ხარისხთან დაკავშირებული წლიური შემაჯამებელი ანგარიშები 2020 წლიდან არ გამოქვეყნებულა, რაც ზღუდავს საზოგადოების შესაძლებლობას, შეიტყოს ამ მიმართულებით არსებული გრძელვადიანი ტენდენციები და მათი შედეგები.⁸²

⁷⁸ იქვე.

⁷⁹ „არნიკა“, „კოსმოსიდან დანახული ჰაერის დაბინძურება საქართველოში“, 2023, ხელმისაწვდომია: <https://arnika.org/en/publications/air-pollution-in-georgia-as-seen-from-space> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

„არნიკა“, „საქართველოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სამთავრობო მონიტორინგის სისტემის შეფასება“, 2023, ხელმისაწვდომია: <https://arnika.org/en/publications/assessment-of-the-state-air-quality-monitoring-in-georgia> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁸⁰ https://air.gov.ge/reports_page

⁸¹ „არნიკა“, „საქართველოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სამთავრობო მონიტორინგის სისტემის შეფასება“, 2023.

⁸² https://air.gov.ge/reports_page?station=ORNo1&report_type=monthly&date_from=2025-07

გარდა ამისა, სერიოზული ხარვეზები არსებობს მძიმე დამაბინძურებლების სახელმწიფო ზედამხედველობაში. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ინსპექტირებების რაოდენობა კვლავ შეზღუდულია და ინსპექტირების შედეგები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ რუსთავი ჰაერის დაბინძურებით ყველაზე მეტად დაზარალებულ ქალაქებს შორისაა, 2024 წელს მხოლოდ ერთი საწარმო დაექვემდებარა გეგმიურ შემოწმებას.⁸³

არსებული თვითმონიტორინგის მექანიზმები ასევე არ წარმოადგენენ ინფორმაციის სანდო წყაროს, რადგან მათი მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის. სამოქალაქო პლატფორმის „გავიგუდეთ“-ის რეკომენდაციის საპასუხოდ, რომელიც ეხებოდა ემისიებთან დაკავშირებული თვითმონიტორინგის ანგარიშების საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, გარემოს დაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ასეთმა გასაჯაროებამ შეიძლება დაარღვიოს კომერციული საიდუმლოება და ხაზი გაუსვა, რომ მსგავსი ვალდებულება მოქმედი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.⁸⁴ გარდა ამისა, კომპანიები სათანადოდ არ ასრულებენ თვითმონიტორინგის ანგარიშების წარდგენის ვალდებულებას, რადგან ბევრი მათგანი ან დაგვიანებით წარადგენს ანგარიშებს, ან საერთოდ არ წარადგენს მათ.⁸⁵

ჰაერის ხარისხის სახელმწიფო მონიტორინგის სუსტი სისტემის კომპენსირებისა და გარემოსდაცვით ინფორმაციაზე საზოგადოების წვდომის გაუმჯობესების მიზნით, თბილისში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე პოლუსმა“, „არნიკასთან“ პარტნიორობით, სამოქალაქო მეცნიერების პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი მონიტორინგის ქსელი - AirGe შექმნა. აღნიშნული ინიციატივა, რომელიც უნიკალურია სამხრეთ კავკასიის რეგიონში, 2024 წლის ბოლოსთვის გაფართოვდა და 11 ქალაქში 100 მონიტორინგის სადგური მოიცვა, მიმდინარე პოლიტიკური არასტაბილურობის მიუხედავად.⁸⁶ თუმცა, ინიციატივა წინააღმდეგობას ნააწყენა გარემოს დაცვის სამინისტროს მხრიდან, რომელიც ცდილობდა დონორების დარწმუნებას, შეეწყვიტათ დაფინანსება, იმაზე აპელირებით, რომ ჰაერის დაბინძურების სამოქალაქო მონიტორინგი უკანონო იყო საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

⁸³ „გავიგუდეთ“, „როგორ შესრულდა 2024 წლის პირველ ნახევარში ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა?“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://gavigudet.org/reports/rogor-shesrulda-2024-tslis-pirvel-nakhevarshi-haeris-khariskhis-marthvis-gegma/> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁸⁴ „გავიგუდეთ“, „როგორ შესრულდა 2024 წლის პირველ ნახევარში ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა?“, 2024.

⁸⁵ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), „გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა საქართველოში: არსებული მდგომარეობა და რეკომენდაციები“, 2023.

⁸⁶ „არნიკა“, „სამოქალაქო მეცნიერება დაბინძურებული ჰაერის წინააღმდეგ: საქართველოს დაბინძურების მონიტორინგის ქსელმა ასი სადგური მოიცვა“, 2025, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/W7ryy5Ja> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

წყლის დაბინძურება

2025 წლის მონიტორინგის შედეგების თანახმად, სახალხო დამცველის აპარატმა მნიშვნელოვან პრობლემად დააიდენტიფიცირა წყლის ხარისხის შესახებ მოსახლეობაში ადეკვატური ინფორმაციის ნაკლებობა, რაც გამოწვეულია ასეთ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, არსებული მექანიზმებისა და პრაქტიკის არაეფექტურობით. სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა, რომ მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია, თუ რომელი სახელმწიფო უწყებაა პასუხისმგებელი წყლის ხარისხზე და სად არის შესაძლებელი შესაბამისი ინფორმაციის მიღება, ხოლო წყლის უფლების შესახებ ცოდნა თავად მუნიციპალიტეტებსაც არ აქვთ. სახალხო დამცველის ანგარიშში ასევე აღნიშნულია ანგარიშის მომზადების პროცესში მუნიციპალიტეტიდან გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოპოვების კუთხით წარმოქმნილი სირთულეები.⁸⁷

სასმელი წყლის ხარისხზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო ყოველწლიური, რისკებზე დაფუძნებული პროგრამის ფარგლებში, რომელიც მოიცავს ინსპექტირებას, ნიმუშების აღებას და ლაბორატორიულ ტესტირებას. თუმცა, 2020 წლიდან ეს შემოწმებები ექსკლუზიურად ცენტრალიზებულ წყალმომარაგების სისტემებზე იყო ორიენტირებული, რის გამოც სოფლის ტერიტორიები, რომლებიც ასეთ სისტემებთან არ არის დაკავშირებული, ხარისხის კონტროლის გარეშე რჩებოდა. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად აღებული წყლის ნიმუშების რაოდენობა გაიზარდა (470 - 2022 წელს, 520 - 2023 წელს, და 850 - 2024 წელს), ეს მაჩვენებლები კვლავ არასაკმარისია მთელი ქვეყნის ადეკვატური დაფარვის უზრუნველსაყოფად. პრობლემურია ასევე ის ფაქტი, რომ ბევრი წყლის მიმწოდებელი ლიცენზიის გარეშე ოპერირებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ კანონით ევალებათ, ფლობდნენ შესაბამის ლიცენზიებს. შედეგად, გართულებულია ეფექტური მონიტორინგი არსებული რეგულაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით.⁸⁸

ხარისხის მონიტორინგის ამ ნაკლოვანებებს ამძაფრებს მონაცემთა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები. სახელმწიფო მონიტორინგის შედეგები ქვეყნდება მხოლოდ დაუმუშავებელი Excel-ის ცხრილების სახით, რომლებიც მოიცავს სურსათის სხვადასხვა კატეგორიას, რეგიონული დაყოფის გარეშე, რაც ხელს უშლის საზოგადოებას, მიიღოს თუნდაც ზოგადი სურათი მუნიციპალიტეტებში წყლის ხარისხის ტენდენციების შესახებ. აღსანიშნია, რომ სააგენტო საზოგადოებას მხოლოდ იმ შემთხვევების შესახებ აწვდის ინფორმაციას, როდესაც

⁸⁷ საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში - „წყალზე უფლების რეალიზაცია საქართველოში“, 2025, ხელმისაწვდომია: <https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/2025-06/undp-georgia-pdo-report-right-to-water-geo.pdf> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁸⁸ იქვე.

ტექნიკურ რეგულაციებში განსაზღვრული კონკრეტული მაჩვენებლების შეუსრულებლობა ფიქსირდება.⁸⁹

მინისტრებმა წყლების ხარისხის მონიტორინგის სისტემა ასევე არაადეკვატურია, რადგან ქვეყნის მასშტაბით შეზღუდული რაოდენობის მონიტორინგის სადგურები ფუნქციონირებს.⁹⁰

კატასტროფებისთვის მზადყოფნა/რეაგირება

ბოლო წლებში საქართველოში ბუნებრივი კატასტროფების მზარდმა სიხშირემ და სიმძიმემ კრიტიკული ხარვეზები გამოავლინა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სისტემაში. არასაკმარისი გარემოსდაცვითი მონაცემები, ადრეული გაფრთხილების სრულყოფილი მექანიზმების არარსებობა, ცუდად შედგენილი ევაკუაციის გეგმები და არაეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიები დაზარალებულ მოსახლეობას დაუცველს და მოუმზადებელს ხდის კრიზისებზე რეაგირებისთვის.⁹¹

შოკის ტრაგედია

2023 წლის აგვისტოში, ძლიერმა სტიქიამ რაჭაში, შოკში კატასტროფული ღვარცოფი გამოიწვია, რამაც 33 ადამიანი იმსხვერპლა და კურორტი მთლიანად გაანადგურა. ტრაგედიამ სერიოზული და ლეგიტიმური კითხვები გააჩინა იმასთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა მისი დამანგრეველი შედეგების თავიდან აცილება, რისკების ადეკვატური შეფასების, მზადყოფნის და დროული რეაგირების გზით. ეს საკითხი დღემდე გამოძიების პროცესშია.⁹²

გარემოს ეროვნული სააგენტოს თანახმად, კატასტროფის პროგნოზირებისთვის არ არსებობდა ადრეული გაფრთხილების სისტემა. სახელმწიფო უწყებებს საჭიროდ არ ჩაუთვლიათ განგაშის სისტემის

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), „გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა საქართველოში: არსებული მდგომარეობა და რეკომენდაციები“, 2023.

საქართველოს სახალხო დამცველი, წლიური ანგარიში, 2024, ხელმისაწვდომია:

<https://ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა, 2022,

ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁹¹ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შოკსა და გურიაში განვითარებულ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას ითხოვენ“, 2023, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/ftu5TIE> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

⁹² საქართველოს სახალხო დამცველი, წლიური ანგარიში, 2023, ხელმისაწვდომია:

<https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

დამონტაჟება შოვის მახლობლად, მდინარე ბუბისწყლის ხეობაში, რადგან, მათი მტკიცებით, ისტორიული მონაცემები არ შეიცავდა მტკიცებულებებს ამ ტერიტორიაზე საფრთხის შემცველი გლაციალური ან გეოდინამიკური პროცესების შესახებ. რადგან ადრე ადამიანური მსხვერპლი არ დაფიქსირებულა, სააგენტომ თვითმხილველების მიერ მიწოდებული ინფორმაცია განმეორებადი წყალდიდობების შესახებ არასაკმარის საფუძვლად მიიჩნია ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური პირობების სრულყოფილი შესწავლისთვის. სააგენტომ ასევე უარყო, რომ მიიღო რაიმე ოფიციალური შეტყობინება ბუბისწყლის ხეობის სიახლოვეს არსებული პოტენციური საფრთხეების შესახებ.⁹³

ეს პოზიცია მკვეთრად ეწინააღმდეგება დოკუმენტირებულ მტკიცებულებებს აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებულ რისკებთან დაკავშირებით. 2017 და 2020 წლებში წყალდიდობებს უკვე გამოწვეული ჰქონდათ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ზიანი. ადგილობრივ მაცხოვრებლებს არაერთხელ გამოუთქვამთ შემფოთება ამასთან დაკავშირებით ხელისუფლების ორგანოების წინაშე. თუმცა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საპასუხო ნაბიჯები ძირითადად რეაქტიული ხასიათის იყო და შემოიფარგლებოდა ზიანის შემსუბუქებით, რისკების შეფასების ან პრევენციული ზომების მიღების ნაცვლად.⁹⁴

2020–2022 წლების გეოლოგიური ბიულეტენები კიდევ უფრო წარმოაჩენს ხელისუფლების დაუდევრობას. 2020 წლის ბიულეტენში შოვის კურორტი მაღალი რისკის ზონად შეფასდა, რის მიზეზადაც მითითებულია ეროზიული პროცესები, რომლებიც აქტიურდება სეზონურად. ასევე, 2021 და 2022 წლების ბიულეტენებში აღნიშნულია, რომ ღვარცოფული პროცესები საფრთხეს უქმნის შოვის ინფრასტრუქტურას და გაცემულია რეკომენდაცია გეოდინამიკური პროცესების უწყვეტი მონიტორინგის შესახებ. ამის მიუხედავად, არ არსებობს მტკიცებულება, რომ ცენტრალურმა ან მუნიციპალურმა ხელისუფლებამ ამ ტერიტორიაზე დამატებითი კვლევების კოორდინაცია მოახდინა ან გაძლიერებული მონიტორინგის სისტემები შექმნა.⁹⁵ აღსანიშნია, რომ, რადგან ტრაგედიის დროს გეოლოგიური ბიულეტენები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ იყო, „მწვანე ალტერნატივამ“ გამოაქვეყნა ნაწყვეტი 2021 წლის გეოლოგიური ბიულეტენიდან, რომელშიც ხაზგასმულია ტერიტორიაზე არსებული გეოლოგიური რისკები და ადრეული გაფრთხილების სისტემის არარსებობა. შედეგად, პარლამენტის თავმჯდომარემ ორგანიზაცია დეზინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა.⁹⁶

⁹³ იქვე.

⁹⁴ იქვე.

⁹⁵ იქვე.

⁹⁶ „საქართველოს ამბები“, „პაპუაშვილი თავს ესხმის ექსპერტებს, რომლებიც შოვის სტიქიაზე დასკვნას ეჭვქვეშ აყენებენ“, 8 აგვისტო, 2023, ხელმისაწვდომია: <https://www.sakartvelosambebi.ge/en/news/papushvili-attacks-experts-that-call-into-question-shovi-disaster-report> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს). ინფორმაცია მოწოდებულია „მწვანე ალტერნატივას“ მიერ.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემა შექმნილია იმისთვის, რომ უზრუნველყოს კოორდინაცია ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებების სრულყოფილად განსახორციელებლად. შესაბამის ორგანოებს ევალებათ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმების შემუშავება და შენარჩუნება. თუმცა, ასეთი გეგმა არც რაჭის რეგიონისთვის და არც ონის მუნიციპალიტეტისთვის არ არსებობდა. გარდა ამისა, ონის მუნიციპალიტეტმა დაადასტურა, რომ 2023 წლისთვის არ არსებობდა „უსაფრთხოების პასპორტი“ - სავალდებულო დოკუმენტი, რომელიც მოიცავს რისკების შეფასებას და პრევენციულ ზომებს პოტენციური საგანგებო სიტუაციებისთვის.⁹⁷

სერიოზული შემფოთება გამოითქვა ასევე სამაშველო ოპერაციის ადეკვატურობასთან დაკავშირებით. საჭიერო მხარდაჭერა მობილიზებული იქნა მხოლოდ კატასტროფის მომდევნო დღეს. ხელისუფლება ბუნდოვნად აცხადებდა, რომ ღამის ოპერაცია მაშველებს საფრთხეს შეუქმნიდა. საბოლოო ჯამში, ოპერაციამ ვერ შეძლო მენყერის ზონაში ჩარჩენილი ვერცერთი ადამიანის პოვნა ან გადარჩენა.⁹⁸

ამგვარად, შოვის ტრაგედიამ გამოავლინა სისტემური ნაკლოვანებები საქართველოში კატასტროფების რისკების მართვის მიმართულებით. კერძოდ, მან ხაზი გაუსვა, რომ არ არსებობს რისკების ადეკვატური შეფასების მექანიზმი მყინვარების ხეობებისთვის, არ არსებობს გაფრთხილებისა და განგაშის სათანადო სისტემები, და მოძველებულია ან არ არსებობს პოლიტიკის ჩარჩო კატასტროფების რისკების შემცირებისთვის. ამ სფეროში ეროვნული პოლიტიკის უახლესი დოკუმენტი 2017–2020 წლებს მოიცავდა. 2017 წელს სამოქალაქო უსაფრთხოების კანონმდებლობის განახლების შემდეგ, არ შემუშავებულა ახალი ეროვნული სტრატეგია ან სამოქმედო გეგმა.⁹⁹

ეს ნაკლოვანებები აღიარებულია სახელმწიფოს მიერ მომზადებულ ოფიციალურ ანგარიშებშიც. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნულ პროგრამაში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ადრეული გაფრთხილებების უშუალოდ საფრთხის ქვეშ მყოფ მოსახლეობამდე ოპერატიულად დაყვანის მექანიზმი. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ სტიქიურ მოვლენებთან მიმართებით სრულყოფილად არ ხდება რისკების შეფასება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაგეგმვა, და სრულად არ არის გამოვლენილი ყველა მაღალი რისკის შემცველი ლოკაცია.¹⁰⁰

⁹⁷ საქართველოს სახალხო დამცველი, წლიური ანგარიში, 2023.

⁹⁸ იქვე.

⁹⁹ იქვე.

¹⁰⁰ საქართველოს სახალხო დამცველი, წლიური ანგარიში, 2023.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022–2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა, 2022.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა (მუხლი 6)

გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურა

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა (გზშ) და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) პროცედურებს, რომლებიც შექმნილია შემოთავაზებული პროექტებისა და პოლიტიკის დოკუმენტების გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად. როგორც გარემოზე ზემოქმედების შეფასების, ასევე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურები ითვალისწინებს საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმებს. საზოგადოების მონაწილეობის დეტალური წესები განსაზღვრულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-94 (2018) ბრძანებით „საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი განასხვავებს იმ საქმიანობებს, რომლებიც ავტომატურად საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (დანართი I) და იმ საქმიანობებს, რომლებიც ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჭიროების დასადგენად (დანართი II).

აქტივობების ჩამონათვალი

სისტემა, რომელიც წინასწარ განსაზღვრულ ზღვარს ადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებული საქმიანობებისთვის, ზედმეტად ხისტი და არ იძლევა თითოეული შემთხვევის ინდივიდუალურად შეფასების საშუალებას. ეს ქმნის რისკს, რომ პროექტები, რომლებსაც შესაძლოა გარემოზე დიდი ზეგავლენა ჰქონდეთ, მთლიანად აუვლიან გვერდს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. შედეგად, მნიშვნელოვნად იზღუდება საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები. მაგალითად, ურბანული განვითარების პროექტებისთვის სკრინინგის პროცედურის გასაველელად დაწესებულია ათი ჰექტარი ფართობის ზღვარი, რამაც ხელი შეუშალა „ბათუმი რივიერას“ პროექტს ამ პროცედურის გავლაში, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მიუხედავად.¹⁰¹

გარდა ამისა, კანონმდებლობაში არ არსებობს მკაფიო სკრინინგის კრიტერიუმები ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასებისთვის,

¹⁰¹ საქართველოს სახალხო დამცველი, წლიური ანგარიში, 2022.

რის გამოც შეფასებიდან გამორიცხულია რიგი საქმიანობები, რომლებსაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება ჰქონდეთ გარემოზე. ასეთია, მაგალითად, 2 მეგავატზე ნაკლები სიმძლავრის მქონე მცირე ჰიდროელექტროსადგურები.¹⁰²

ასევე, ქვიშა-ხრემის მოპოვების საქმიანობები კატეგორიულად გამორიცხულია სკრინინგის პროცედურიდან, გარემოზე მათი პოტენციური ზეგავლენის მიუხედავად.¹⁰³ ეს განსაკუთრებით შემაშფოთებელია იმის გათვალისწინებით, რომ სამთომოპოვებით სექტორში ლიცენზიების უმეტესობა ქვიშა-ხრემის მოპოვებას ეხება, და მოპოვების ამჟამინდელი პრაქტიკა სერიოზულ ზიანს აყენებს გარემოს.¹⁰⁴

გამონაკლისები

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ასევე ადგენს საფუძვლებს გამონაკლისის შემთხვევებისთვის, რომლებიც თავისუფლდებიან გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურისგან. მათ მიეკუთვნება საქმიანობები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო უსაფრთხოებასთან ან განპირობებულია დაუძლეველი ძალის მდგომარეობით გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გამონაკლისები თავისთავად უკანონო არ არის, აუცილებელია ხელისუფლებამ ისინი ვინაობა გამოიყენოს. პრაქტიკაში, მოცემული გამონაკლისები, როგორც წესი, გზის მშენებლობის პროექტებს უკავშირდება. სულ მცირე ერთ დოკუმენტირებულ შემთხვევაში, გზმ-ს გარეშე მოქმედების აუცილებლობა დასაბუთებული იყო ტერიტორიაზე პოტენციური სტიქიური უბედურებების რისკით, რაც წინააღმდეგობრივი მიდგომაა, რადგან სწორედ ასეთი პროექტები საჭიროებს საფუძვლიან გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, მათთან დაკავშირებული რისკების გასაანალიზებლად და შესამცირებლად.¹⁰⁵

საზოგადოების ადეკვატური, დროული და ეფექტური ინფორმირების ვალდებულება

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ინფორმირებას გარემოზე ზემოქმედების შეფასების

¹⁰² „საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024.

¹⁰³ „საბუკო“, „ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პრობლემები საქართველოში“, 2023.

¹⁰⁴ „მწვანე ალტერნატივა“, „საქართველოს სამთომოპოვებითი სექტორის გამოწვევები - მოკლე მიმოხილვა“, 2024.

¹⁰⁵ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „გარემოზე ზემოქმედების შეფასება - უსაფრთხო განვითარების გარანტი საქართველოში?“, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/etiQWpKp> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

პროცედურების დროს, ზოგადად, ადეკვატურია, პრაქტიკაში კვლავ ფიქსირდება მნიშვნელოვანი ხარვეზები, რაც ხელს უშლის საზოგადოების შინაარსიან და ეფექტურ მონაწილეობას.

პროექტის არეალთან ყველაზე ახლოს მდებარე მუნიციპალიტეტში საჯარო განხილვის ჩატარების მოთხოვნა ზედმეტად ხისტი, რადგან ის არ ითვალისწინებს მანძილს და ტრანსპორტირების შეზღუდულ შესაძლებლობებს, ფაქტორებს, რომლებიც აუცილებელია საზოგადოების შინაარსიანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.¹⁰⁶ მაგალითად, საჯარო განხილვა ნამახვანჰისის მშენებლობასთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გაიმართა, რომელიც ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიიდან თითქმის 50 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. ეს მანძილი, რომლის გავლას დაახლოებით ორი ან სამი საათი სჭირდება, ტრანსპორტირების შეზღუდულ შესაძლებლობებთან ერთად, მნიშვნელოვნად ამცირებდა ადგილობრივი მაცხოვრებლების ეფექტური მონაწილეობის შესაძლებლობას.¹⁰⁷

ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების ფორმატი დაგეგმილი აქტივობების შესახებ კვლავ არაადეკვატურია. ინფორმაციის ონლაინ გამოქვეყნება არასაკმარისია, რადგან ბევრ სოფელში მოსახლეობას არ აქვს ინტერნეტზე წვდომა. ანალოგიურად, ინფორმაციის განთავსება მუნიციპალიტეტების საინფორმაციო დაფებზე არ უზრუნველყოფს ეფექტურ ინფორმირებას, რადგან ადგილობრივი მაცხოვრებლები იშვიათად კითხულობენ მათ. შედეგად, დაზარალებული თემები, ხშირად, არ არიან ინფორმირებული გარემოზე პოტენციური ზემოქმედების მქონე პროექტების შესახებ.¹⁰⁸

გარდა ამისა, იმ შემთხვევებშიც კი, როცა დაგეგმილი საქმიანობა გავლენას ახდენს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებზე, საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია თანმიმდევრულად არ არის მიწოდებული უმცირესობების ენებზე. ეს მნიშვნელოვნად ზღუდავს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების შესაძლებლობას, გამოიყენონ გადაწყვეტილების

¹⁰⁶ საქართველოს სახალხო დამცველი, წლიური ანგარიში, 2021, ხელმისაწვდომია:

<https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და „გერმანული თანამშრომლობა“ (German Cooperation), „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, 2023.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: 6 საქმის ანალიზი“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/pr7tonzk> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹⁰⁷ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: 6 საქმის ანალიზი“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/pr7tonzk> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹⁰⁸ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და „გერმანული თანამშრომლობა“ (German Cooperation), „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, 2023.

მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლება. მაგალითად, ქვემო ქართლში, მუშევანში, სადაც დაზარალებული მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკური აზერბაიჯანელია, სპილენძისა და ოქროს მოპოვების ლიცენზიის გაცემისას, საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაცია თანმიმდევრულად არ ვრცელდებოდა აზერბაიჯანულ ენაზე. ასევე, არც გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები და არც მათთან დაკავშირებული დოკუმენტები ხელმისაწვდომი არ იყო აზერბაიჯანულ ენაზე.¹⁰⁹

გზმ-ს ანგარიშების დაბალი ხარისხი

ადგილობრივი თემებისა და აქტივისტური ჯგუფების ხშირი წინააღმდეგობა მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზიების მიმართ ასახავს საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ უნდობლობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიმართ, და ხაზს უსვამს არსებული მონაწილეობითი მექანიზმების არაეფექტურობას. ამ უნდობლობის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი გარემოზე ზემოქმედების შეფასებების დაბალი ხარისხია, რომლებიც ხშირად ვერ იძლევა სანდო საფუძველს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

ფრაგმენტული, არასაკმარისი და მოძველებული გარემოსდაცვითი მონაცემები ხშირად იწვევს არასრულ ან შეცდომაში შემყვან შეფასებებს პროექტების გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ჰიდროენერგეტიკის განვითარების სფეროში ჰიდროლოგიური პოტენციალი კვლავ ფასდება საქართველოს წყლის ბალანსის შესახებ საბჭოთა პერიოდის მოძველებული მონაცემების საფუძველზე, რის შედეგადაც გადაწყვეტილებები მიიღება მოძველებულ და არასანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით.¹¹⁰

ამ შეფასებების არაადეკვატურობას კიდევ უფრო ამძაფრებს ანგარიშების მომზადებისას ტექნიკური ექსპერტიზის ნაკლებობა. გზმ-ს დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ექსპერტები შეზღუდულ დროს უთმობენ სავსე სამუშაოებს და ზოგიერთ შემთხვევებში, კვლევებს ატარებენ გარემოსდაცვითი შეფასებისთვის შეუფერებელ პერიოდში.¹¹¹

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადება შეუძლია როგორც პროექტის განმახორციელებელს, ასევე მის მიერ დაქირავებულ კონსულტანტს. გზმ-ს მომზადებაზე პასუხისმგებელი ექსპერტების მიმართ არ მოქმედებს სამართლებრივი მოთხოვნები დამოუკიდებლობასთან, კვალიფიკაციასთან ან სერტიფიცირებასთან

¹⁰⁹ იქვე.

¹¹⁰ „საბუკო“, „ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პრობლემები საქართველოში“, 2023.

¹¹¹ იქვე.

დაკავშირებით, რაც ინტერესთა კონფლიქტის და დაბალი ხარისხის ანგარიშების მაღალ რისკს ქმნის. გზშ-ს ანგარიშების განმხილველი ექსპერტთა კომისია ძირითადად გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების წარმომადგენლებისგან შედგება, რაც საფრთხეს უქმნის შეფასებების ობიექტურობას.¹¹²

გზშ-ს ანგარიშებში ხშირად გამოტოვებულია გარემოსდაცვითი შეფასების კრიტიკული ელემენტები. შემოთავაზებული საქმიანობის ალტერნატივები ან საერთოდ არ განიხილება, ან მხოლოდ ფორმალურად განიხილება, ეკონომიკურ სარგებელზე ფოკუსირებით და გარემოზე ზემოქმედების შედეგების უგულვებლყოფით. კუმულაციური ზემოქმედება რუტინულად იგნორირებულია. სხვა ნაკლოვანებებს შორისაა მყარი ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის არარსებობა და ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის სერვისების არასათანადო გათვალისწინება.¹¹³

გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის ფორმალისტურ და ზედაპირულ ბუნებას კიდევ უფრო წარმოაჩენს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ანგარიში სხვა შეფასებებიდან კოპირებულ ტექსტს შეიცავს.¹¹⁴

გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა თავადაც აღიარებს, რომ გზშ-ს და სგშ-ს ანგარიშების დაბალი ხარისხი სისტემურ გამოწვევას წარმოადგენს გარემოსდაცვით მმართველობაში. პროგრამაში აღნიშნულია, რომ შეფასებები ხშირ შემთხვევაში არ არის მომზადებული შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით, შეიცავს შეუსაბამობებს დაგეგმილი საქმიანობების შესახებ და არასათანადოდ აღწერს საქმიანობის ადგილზე არსებული გარემოს მდგომარეობას.¹¹⁵

ბევრ შემთხვევაში, კომპანიებს საქმიანობის დაწყების ნებართვა მიეცათ სერიოზული ხარვეზებისა და უხარისხო შეფასებების მიუხედავად. დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები გამოიცა ისეთ შემთხვევებში, როდესაც კომპანიებმა ვერ წარადგინეს სკოპინგის დასკვნით ან შესაბამისი კანონმდებლობით მოთხოვნილი დოკუმენტები. გარემოზე ზემოქმედების შესახებ სათანადო ინფორმაციის გარეშე საქმიანობის

¹¹² „საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024.

¹¹³ „საბუკო“, „ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პრობლემები საქართველოში“, 2023.

„საბუკო“, „ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმოხილვა“, 2024.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: 6 საქმის ანალიზი“, 2024.

¹¹⁴ „საბუკო“, „ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პრობლემები საქართველოში“, 2023.

„საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024.

¹¹⁵ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა, 2022.

ნებართვის გაცემით, ხელისუფლება უპასუხოდ ტოვებს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების მთავარ წუხილებს, განსაკუთრებით, შემოთავაზებული პროექტების გარემოსდაცვით და სოციალურ შედეგებთან დაკავშირებით.¹¹⁶

გარდა ამისა, კანონით გათვალისწინებული მონიტორინგი და პროექტის შემდგომი ანალიზი გარემოსდაცვითი პირობების დაცვის და ფაქტობრივი ზემოქმედების შესაფასებლად პრაქტიკაში თითქმის არასდროს ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-17 მუხლი აწესებს ვალდებულებას, გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე გამოქვეყნდეს პროექტის შემდგომი ანალიზი, დღემდე ასეთი დოკუმენტები საჯაროდ არ გამოქვეყნებულა.¹¹⁷

ზემოაღწერილი ნაკლოვანებები სერიოზულად აზიანებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის სანდოობას, ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას და ხელს უშლის საზოგადოების შინაარსიან მონაწილეობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

საზოგადოების მონაწილეობის შემაფერხებელი სხვა ფაქტორები

როგორც კანონმდებლობაში, ასევე პრაქტიკაში არსებობს სხვა ხარვეზებიც, რომლებიც კიდევ უფრო აფერხებს საზოგადოების შინაარსიანი მონაწილეობის შესაძლებლობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

სკრინინგის გადაწყვეტილებები, როგორც წესი, მხოლოდ განმცხადებლების მიერ წარდგენილ ინფორმაციას ეყრდნობა, მისი სიზუსტის ან ადეკვატურობის დამოუკიდებელი გადამოწმების და გარემოზე პოტენციური ზემოქმედების ყოველმხრივი შეფასების გარეშე. შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურიდან საქმიანობების გამორიცხვა ხშირად არასანდო და გადაუმოწმებელ მონაცემებს ეფუძნება.¹¹⁸

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებას მთლიანობაში რამდენიმე ფაქტორი უშლის ხელს. პროექტების განახლების დროს, გარემოზე

¹¹⁶ საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებები და განვითარების პროექტების ათწლიანი პრაქტიკა“, 2022, ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2022113014285594326.pdf> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და „გერმანული თანამშრომლობა“ (German Cooperation), „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, 2023.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: 6 საქმის ანალიზი“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/pr7tonzk> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹¹⁷ „საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024.

¹¹⁸ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: 6 საქმის ანალიზი“, 2024.

ზემოქმედების შეფასება, როგორც წესი, მხოლოდ შემოთავაზებულ ცვლილებებს ეხება, ნაცვლად იმისა, რომ პროექტი მთლიანად ხელახლა შეფასდეს, რითაც უგულებელყოფილია მისი კუმულაციური ეფექტები.¹¹⁹

გარდა ამისა, ზოგიერთი კომპანია გარემოსდაცვითი ნებართვების მისაღებად განაცხადებს განზრახ წარადგენს ფრაგმენტულად, გზშ-ს პროცედურის გვერდის ავლის მიზნით, რაც ცნობილია, როგორც „ძეხვის დაჭრის“ ტაქტიკა.¹²⁰ ეს პრაქტიკა, რომელიც შეინიშნება ისეთ სექტორებში, როგორიცაა გზების მშენებლობა, სამთომოპოვებითი საქმიანობა და ჰიდროენერგეტიკის განვითარება, ინვესტორებს საშუალებას აძლევს, ხელოვნურად დაყონ პროექტები უფრო მცირე კომპონენტებად, გარემოზე მათი სრული ზემოქმედების დამალვის მიზნით.¹²¹

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლები ასევე არაადეკვატურია, რადგან შეფასებიდან ხშირად გამორიცხულია კრიტიკულად მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიცაა დაკავშირებული ინფრასტრუქტურა, სამშენებლო მასალების მოპოვება და ნარჩენების გატანა. გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიებს ამ საქმიანობებისთვის ცალკე გზშ-ს მომზადებაც კი მოეთხოვებათ, რაც პროცესს კიდევ უფრო ფრაგმენტულს ხდის და ართულებს გარემოზე ზემოქმედების სრულყოფილ შეფასებას.

ზემოაღწერილი პრაქტიკა საზოგადოებას ართმევს შესაძლებლობას, შეაფასოს გარემოზე ზემოქმედების სრული მასშტაბი, რითაც ხელი ეშლება ინფორმირებულ შეფასებებს და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტურ მონაწილეობას.

სექტორისთვის სპეციფიკური გამოწვევები

ენერგეტიკული პროექტები

ენერგეტიკის სექტორში მთავრობასა და ინვესტორებს შორის შეთანხმებების დადების ზოგადი ჩარჩო დადგენილია საქართველოს კანონით „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც მოითხოვს, რომ ასეთი შეთანხმებები დაიდოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროექტი გაივლის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას. თუმცა, მთავრობის N515 დადგენილება ქმნის ალტერნატიულ ჩარჩოს, რომელიც გვერდს უვლის

¹¹⁹ „საბუკო“, „ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პრობლემები საქართველოში“, 2023.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: 6 საქმის ანალიზი“, 2024.

¹²⁰ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და „გერმანული თანამშრომლობა“ (German Cooperation), „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, 2023.

¹²¹ იქვე.

„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ კანონს და ინვესტორებს საშუალებას აძლევს, პროექტის წინადადებები პირდაპირ წარუდგინონ სამინისტროს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურების განხორციელებამდე. არ არსებობს მკაფიო კრიტერიუმები იმის დასადგენად, თუ რომელი სამართლებრივი ჩარჩო გამოიყენება კონკრეტულ პროექტთან მიმართებით, რაც ქმნის სამართლებრივ გაურკვევლობას და შერჩევითი მიდგომების საშუალებას იძლევა. 2019-დან 2021 წლამდე, ენერგეტიკული პროექტების უმეტესობა ზემოაღნიშნული ალტერნატიული ჩარჩოს ფარგლებში შეთანხმდა.

N515 დადგენილების შესაბამისად დადებული შეთანხმებები, როგორც წესი, წინასწარ განსაზღვრავენ პროექტის ადგილმდებარეობას, ძირითად პარამეტრებს და მთავრობის ვალდებულებებს, მათ შორის, მიწის გადაცემას და ნებართვების მიღებაში დახმარებას. ამ ჩარჩოს ფარგლებში წინადადებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი საზოგადოებისთვის დახურულია. მთავრობასა და ინვესტორებს შორის მიღწეული შეთანხმებები არ საჯაროვდება, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების ამ ეტაპიდან.

მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობის დაწყებამდე მაინც საჭიროა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა და გარემოსდაცვითი ნებართვა, ის ფაქტი, რომ პროექტის ძირითადი მახასიათებლები წინასწარ არის განსაზღვრული, საზოგადოებას ართმევს რეალურ შესაძლებლობას, გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღებაზე. ასეთი გაუმჭვირვალე პროცესები, გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე საზოგადოების ჩართულობის უგულებელყოფასთან ერთად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესს უბრალო ფორმალობად აქცევს.¹²²

2022 წელს სოციალური სამართლიანობის ცენტრმა საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი შეიტანა. ორგანიზაციამ გაასაჩივრა ის სამართლებრივი დებულებები, რომლებიც ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას ადრეულ ეტაპზე ზღუდავს საზოგადოების მონაწილეობას, მაშინ, როცა ყველა შესაძლებლობა ჯერ კიდევ ღიაა. 2025 წლის ოქტომბერში საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული სარჩელი უარყო. სასამართლოს მტკიცებით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების შემდგომი პროცედურები საკმარისად უზრუნველყოფდა საზოგადოების მონაწილეობის უფლებებს. ამით სასამართლომ ფორმალისტური მიდგომა გამოიჩინა და უგულებელყო

¹²² სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „საჯარო და კერძო თანამშრომლობა, ნამახვანჰესი და ენერგეტიკული პროექტების განვითარება საქართველოში“, 2022, ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/sajaro-da-kerdzo-tanamshromloba-namakhvanhesi-da-energetikuli-proektების-ganvitareba-sakartveloshi#> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

„საბუკო“, „ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პრობლემები საქართველოში“, 2023.



ფოტო: ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ადგილი / სოციალური სამართლიანობის ცენტრი

არსებითი არგუმენტები გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ადრეული მონაწილეობის საჭიროებასთან დაკავშირებით.¹²³

ნამახვანის ჰიდროელექტროსადგური ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და საკამათო ჰიდროენერგეტიკული ინიციატივა იყო, რომელმაც 2020-2021 წლებში საზოგადოების უპრეცედენტო წინააღმდეგობა გამოიწვია.¹²⁴ პროექტი იმ სისტემური ხარვეზების თვალსაჩინო მაგალითია, რომლებიც საქართველოს გარემოსდაცვით მმართველობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებს ახასიათებს.

2020 წელს ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის პროექტს გარემოსდაცვითი ნებართვა მიენიჭა, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ წარუდგენია სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი. განაცხადის უარყოფის ნაცვლად, სამინისტრომ კომპანიას უფლება მისცა, აღნიშნული დოკუმენტები მოგვიანებით წარედგინა, რითაც უხეშად უგულებელყო ნებართვის გაცემის პროცესის კანონიერება.¹²⁵

ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი ითვალისწინებდა მასშტაბური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას მდინარე რიონის

¹²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება N1/12/1694, 2025.

¹²⁴ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ხარვეზები, დარღვევები და დაუსაბუთებელი შეღავათები - ნამახვანი ჰესის პროექტის ისტორია“, 2021, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/erOratup> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹²⁵ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: 6 საქმის ანალიზი“, 2024.



ფოტო: ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის მოწინააღმდეგე პროტესტის მონაწილეები საპოლიციო ზომების პირისპირ / სოციალური სამართლიანობის ცენტრი

ხეობაში, წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე. პროექტის თანახმად, ჰიდროელექტროსადგურის საერთო სიმძლავრე 324 მეგავატი იქნებოდა. სავალდებულო გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემამდე, მთავრობამ რიონის ხეობაში 571 ჰექტარზე მეტი ფართობის მიწა საკუთრებაში გადასცა კომპანია „ენკა რინიუებლზ“-ს. ამ გარიგებამ ძირი გამოუთხარა გარემოზე ზემოქმედების შეფასების და ნებართვების შემდგომი პროცედურების მიზანს და სანდოობას.¹²⁶

პროექტის მოწინააღმდეგეები მუდმივად უსვამდნენ ხაზს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში არსებულ არსებით ნაკლოვანებებს. მნიშვნელოვანი შეშფოთება გამოითქვა პროექტის პოტენციურ გეოლოგიურ, ეკოლოგიურ და ფისკალურ რისკებთან დაკავშირებით, რაც რეაგირების გარეშე დარჩა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა არაერთხელ მოითხოვეს წვდომა კანონით სავალდებულო ერთ-ერთ დოკუმენტზე - ფინანსთა სამინისტროს მიერ ფისკალური რისკების შეფასებაზე, თუმცა, ხელისუფლებისგან ადეკვატური პასუხი არ მიუღიათ. საბოლოოდ

¹²⁶ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: 6 საქმის ანალიზი“, 2024.

Mtisambebi.ge, „ნამახვანი ჰესის“ ისტორია - რა არის მთავარი პრობლემა“, 13 მაისი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://mtisambebi.ge/news/ecology/item/1303> - (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

გაირკვა, რომ დოკუმენტი არ არსებობდა, რაც ხაზს უსვამდა როგორც გამჭვირვალობის ნაკლებობას, ასევე სამართლებრივი მოთხოვნების შეუსრულებლობას.¹²⁷

როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოების მონაწილეობის პროცესიც არასრულყოფილად წარიმართა. საჯარო განხილვის ადგილის ხელმისაწვდომობის პრობლემებთან ერთად, დამსწრე პირებს არ ეძლეოდათ რეალური შესაძლებლობა, დაესვათ შეკითხვები. პროექტის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებთან და გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით გაუღერებული წუხილები ან არაადეკვატურად იყო განხილული, ან საერთოდ არ იყო მხედველობაში მიღებული სხდომების დროს.¹²⁸

პროექტისადმი წინააღმდეგობა უწყვეტი და მასშტაბური საპროტესტო აქციებით ხასიათდებოდა. 130 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში აქტივისტებს პროექტის ტერიტორიის მახლობლად კარვები ჰქონდათ გაშლილი და პროექტის შეჩერებას ითხოვდნენ. არაერთ შემთხვევაში, ადგილზე მოხილრებული იქნა საპოლიციო ძალა, რასაც პროტესტის მონაწილეთა დაკავება მოჰყვა. პროტესტის მონაწილეებს, მთავრობის წარმომადგენლებსა და კომპანიის წარმომადგენლებს შორის მედიაციის გამართვის, ასევე, პროექტის დამოუკიდებელი შეფასების მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა. 2021 წლის სექტემბერში კომპანიამ განცხადება გაავრცელა შეთანხმებიდან გასვლის შესახებ, რამაც პროექტის განუსაზღვრელი ვადით შეჩერება გამოიწვია.¹²⁹

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ისევე როგორც საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები, ოფიციალურად გასაჩივრდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, სოციალური სამართლიანობის ცენტრის და „მწვანე ალტერნატივას“ მიერ.

ტყე და დაცული ტერიტორიები

საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს ნაკლოვანებებმა და პრაქტიკაში არსებულმა მუდმივმა ხარვეზებმა სისტემური ჩავარდნა გამოიწვია ტყის მმართველობაში საზოგადოების მონაწილეობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის კუთხით.

¹²⁷ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: 6 საქმის ანალიზი“, 2024.

საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებები და განვითარების პროექტების ათწლიანი პრაქტიკა“, 2022, ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2022113014285594326.pdf> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹²⁸ იქვე.

¹²⁹ საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებები და განვითარების პროექტების ათწლიანი პრაქტიკა“, 2022, ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2022113014285594326.pdf> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

ტყის მართვასთან დაკავშირებული თითქმის ყველა ძირითადი გადაწყვეტილება, მათ შორის, ტყის კლასიფიკაცია, ტყის სტატუსის შეწყვეტა და ტყის ტერიტორიების გამოყოფა სპეციალური სარგებლობისთვის (როგორცაა ნადირობა, თევზაობა ან ტურიზმი) ან განსაკუთრებული დანიშნულებით (როგორცაა ინფრასტრუქტურის განვითარება და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება), ზოგჯერ 50 წლამდე ვადით, მიიღება მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით, რაც გამორიცხავს საზოგადოების რეალურ მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ კანონი მოითხოვს საჯარო აუქციონების გამართვას ტყის ტერიტორიების სპეციალური სარგებლობისთვის გამოყოფის შემთხვევაში, ასეთი განცხადებები არ მოიცავს საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და არ უზრუნველყოფს საზოგადოების სათანადო ინფორმირებას.¹³⁰

კანონმდებლობა ასევე მოითხოვს, რომ ტყის ტერიტორიების შერჩევა სპეციალური სარგებლობისთვის წარმართოს ტყის მართვის გეგმის და/ან ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომლებიც ექვემდებარება საჯარო კონსულტაციას. თუმცა, პრაქტიკაში, ტყის გადაცემა ხშირად ხდება დამტკიცებული მართვის გეგმების გარეშე ან იმ გეგმების საფუძველზე, რომლებშიც შესაბამისი ტერიტორიები მკაფიოდ არ არის გამიჯნული. ეს პრაქტიკა უზღუდბელყოფს გარემოსდაცვით და სოციალურ გარანტიებს და ფაქტობრივად გამორიცხავს საზოგადოების მონაწილეობას. ანალოგიურად, კანონის თანახმად, დაცული ტერიტორიების მართვის გეგმები ექვემდებარება საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას. თუმცა, დაცული ტერიტორიების უმრავლესობას არ გააჩნია ვალიდური მართვის გეგმები და ფუნქციონირებენ ან დროებითი რეგულაციების საფუძველზე, ან საერთოდ მათ გარეშე, რაც გამორიცხავს საზოგადოების მონაწილეობას. გარდა ამისა, არსებული გეგმების ცვლილებები არ ექვემდებარება საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას.¹³¹

რაჭის ტყეები

2022 წელს, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა“-ს 49-წლიანი ლიცენზია მიანიჭა კერძო სამონადირეო მეურნეობის მოსაწყობად და მასთან დაკავშირებული სატყეო საქმიანობის განსახორციელებლად, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში, 104 000 ჰექტარ ფართობზე, რაც რაჭის ტყის საფარის დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენს და ონის, ლენტეხისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებს მოიცავს.¹³²

¹³⁰ „საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024.

საქართველოს ტყის კოდექსი, მუხლები 18 (8), 44, 68 (2).

¹³¹ იქვე.

¹³² იქვე.

ლიცენზიის გასაცემად აუქციონის გამოცხადებამდე, სააგენტომ მიმართა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს და მათი თანხმობა მიიღო პროცესის გასაგრძელებლად. მუნიციპალიტეტების თანხმობები ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციის გარეშე გაიცა. მთავრობის განკარგულება ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ და თავად ლიცენზია დამტკიცებულ იქნა გარემოს დაცვის სამინისტროს პოზიციის გაუთვალისწინებლად, რომელმაც მოითხოვა ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება. კომპანიას შეფასების წარდგენა დაევალა მას შემდეგ, რაც ლიცენზია უკვე გაიცა.¹³³

აუქციონის გამოცხადების შესახებ ბრძანება ასევე მიღებულ იქნა არსებული რეგულაციების დარღვევით, რომლებიც მოითხოვს, რომ აუქციონის გზით ლიცენზიით გასაცემი ტერიტორიები შეირჩეს დამტკიცებული ტყის მართვის გეგმის და/ან წლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე. აუქციონის შესახებ ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების გზით, საზოგადოების მონაწილეობის ყოველგვარი შესაძლებლობის გარეშე. გარდა ამისა, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ და შემდგომში, მისმა ზემდგომმა ორგანომ, გარემოს დაცვის სამინისტრომ, უარი უთხრეს „მწვანე ალტერნატივას“ ლიცენზიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა და შესაბამისი ადმინისტრაციული მასალების ხელმისაწვდომობაზე.¹³⁴

საპასუხოდ, სამოქალაქო საზოგადოება მობილიზდა „ვიცავთ რაჭას“ კამპანიის ფარგლებში. კამპანია ფართომასშტაბიან საპროტესტო მოძრაობაში გადაიზარდა, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობა და გარემოსდამცველი აქტივისტები ჩაერთნენ.¹³⁵

¹³³ იქვე.

¹³⁴ იქვე.

„მწვანე ალტერნატივა“, „მწვანე ალტერნატივა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის გაყიდვის შესახებ საჯარო ინფორმაციის გადმოცემას ითხოვს“, 2022, ხელმისაწვდომია: https://greenalt.org/disputes_complaints/court_hunting_licence/ (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „გაუქმდეს რაჭის ტყეებზე გაცემული სამონადირეო ლიცენზია და ზურუნველყოფილი იყოს პროტესტის მონაწილეთა მშვიდობიანი შეკრების უფლება“, 2023, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/ErOraBM3> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

[Mtisambebi.ge](https://cutt.ly/2r7t7eFa), „რაჭის ტყეების ოკუპაცია - ჟურნალისტური გამოძიება“, 2023, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/2r7t7eFa> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

რადიო თავისუფლება, „უპასუხო კითხვები რაჭის ტყეების გარშემო“, 2023, ხელმისაწვდომია: <https://t.ly/EXdoy> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹³⁵ „მწვანე ალტერნატივა“, „#ვიცავთრაჭას - შეხვედრების განრიგი რაჭის სოფლებში - მოაწერე ხელი მოთხოვნას“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://greenalt.org/vicavtrachas-shekhvedrebi-ganrigi-rachis-soflebshi-moawere-kheli-motkhovnas/> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).



ფოტო: რაჭის ტყეები / სოციალური სამართლიანობის ცენტრი

აუქციონის გამოცხადებისა და ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებები „მწვანე ალტერნატივამ“ სასამართლოში გაასაჩივრა, როგორც არსებითი, ასევე პროცედურული საფუძვლებით. კერძოდ, ორგანიზაციის არგუმენტების თანახმად, გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა გარემოზე ზემოქმედების სათანადო შეფასების გარეშე, გაუმჭვირვალედ და საზოგადოების გამორიცხვით გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან.¹³⁶ გარდა ამისა, „მწვანე ალტერნატივამ“ სამართლებრივი დავა დაიწყო გარემოს ეროვნული სააგენტოს და შემდგომში, მისი ზემდგომი ორგანოს, გარემოს დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ, ლიცენზიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა და შესაბამისი ადმინისტრაციული მასალების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის გამო.¹³⁷ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა კი პროკურატურაში ცალკე განცხადება შეიტანეს, რომელიც მიუთითებდა ონის ყოფილი მერის მიერ სავარაუდო სამოხელეო დანაშაულის

¹³⁶ Publika.ge, „რაჭის ტყეების გადაცემის საქმეზე ლიცენზიის გაუქმების მოთხოვნით სასამართლოს მიმართეს“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/rachis-tyeebis-gadacemis-saqmeze-licenziis-gauqmebis-motkhovnit-sasamartlos-mimartes/> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

Publika.ge, „რაჭის ტყეების საქმეზე გარემოს დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ სასამართლოს მიმართეს“, 2023, ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/rachis-tyeebis-saqmeze-garemos-dacvis-saministros-winaaghmdag-sasamartlos-mimartes/> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹³⁷ „მწვანე ალტერნატივა“, „მწვანე ალტერნატივა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის გაყიდვის შესახებ საჯარო ინფორმაციის გადმოცემას ითხოვს“, 2022.

„საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024.

ჩადენისა და ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ, აუქციონის გამოცხადებაზე თანხმობის მიცემასთან დაკავშირებით.¹³⁸

უნყვეტი საზოგადოებრივი ზეწოლისა და სამართლებრივი ქმედებების შედეგად, ხელისუფლებამ ლიცენზია 2023 წლის ნოემბერში გააუქმა, კომპანიის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის არგუმენტით. თუმცა, ძალაში რჩება ლიცენზიის პირობების განმსაზღვრელი მთავრობის განკარგულება, რადგან მის კანონიერებასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები ჯერ კიდევ მიმდინარეობს.¹³⁹

ბალდის კანონი

2022 წელს, დაცული ტერიტორიების სააგენტომ ბუნების ძეგლის სტატუსის მქონე ბალდის კანონის 24,130 კვადრატული მეტრი, 40-წლიანი ხელშეკრულებით, იჯარით გადასცა შპს „კანონი 350“-ს, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით. პროექტი ითვალისწინებს ტურისტული ბილიკებისა და ატრაქციონების მშენებლობას კანონის ტერიტორიაზე, რომელსაც დაცული ბუნების ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. ბალდის მაცხოვრებლებისთვის კანონის კულტურული და რეკრეაციული მნიშვნელობის მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობა სრულიად გამორიცხული იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან.¹⁴⁰

სააგენტოს მიერ მართული სხვა მრავალი დაცული ტერიტორიის მსგავსად, ბალდის კანონის ბუნების ძეგლს არ გააჩნია დამტკიცებული მართვის გეგმა. ამის ნაცვლად, იგი იმართება დროებითი რეგულაციების საფუძველზე. „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, საზოგადოებას უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს დაცული ტერიტორიების შექმნისა და განვითარების გადაწყვეტილებების და დოკუმენტების განხილვის პროცესში. თუმცა, ამ შემთხვევაში, მსგავსი შესაძლებლობა უზრუნველყოფილი არ ყოფილა. ტერიტორიის იჯარით გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით, ყოველგვარი საჯარო კონსულტაციისა და ინფორმაციის წინასწარი გამჟღავნების გარეშე.¹⁴¹

საზოგადოებამ პროექტის შესახებ 2023 წელს შეიტყო, მას შემდეგ, რაც კომპანიამ კანონის ტერიტორიის ნაწილი შემოღობა და ადგილობრივ

¹³⁸ „მწვანე ალტერნატივა“, „მიმართვა საქართველოს გენერალურ პროკურორს რაჭაში ტყის უკანონოდ გადაცემის თაობაზე“, 2023, ხელმისაწვდომია: <https://greenalt.org/mimartva-saqartvelos-generalur-prokurors-rachashi-tyis-ukanonod-gadacemis-shesakheb/> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹³⁹ „საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024.

¹⁴⁰ „საბუკო“, „საბუკოს პოზიცია ბალდის კანონის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტთან დაკავშირებით“, 2023, ხელმისაწვდომია: <https://www.sabuko.org/pozitsia-baldis-kanonis-shesakheb/> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹⁴¹ იქვე.



ფოტო: ბაღდის კანიონი / სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მოსახლეობას წვდომა შეუზღუდა.¹⁴² მოგვიანებით გაირკვა, რომ კომპანიას უკანონოდ ჰქონდა შემოღობილი მეზობელი ტყის ტერიტორიები, რომელიც ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშ იმყოფებოდა, და ნებართვის გარეშე ჰქონდა დაწყებული სამშენებლო სამუშაოები. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია დაჯარიმდა, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ შემდგომში შპს „კანიონი 350“-ს დამატებით 1,761 მ² ტყის ფართობი „სპეციალური სარგებლობისთვის“ გადასცა, კვლავ საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, რამაც საზოგადოების ნდობა კიდევ უფრო შეარყია.¹⁴³

ადგილობრივი მაცხოვრებლები და გარემოსდამცველი აქტივისტები ბაღდის კანიონში დაგეგმილ საქმიანობას აპროტესტებდნენ და შეშფოთებას გამოთქვამდნენ კანიონის ეკოსისტემასა და ბიომრავალფეროვნებაზე მის პოტენციურ უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ზემოქმედება არ შეფასებულა პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოებისთვის ნებართვის გაცემამდე.¹⁴⁴

¹⁴² სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ადგილობრივი მოსახლეობა და სოციალური სამართლიანობის ცენტრი ბაღდის კანიონზე მიმდინარე სამუშაოების შეჩერებას ითხოვენ“, 2023, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/5rOrseWC> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹⁴³ „საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024.

¹⁴⁴ „საბუკო“, „საბუკოს პოზიცია ბაღდის კანიონის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტთან დაკავშირებით“, 2023.

„საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024.



ფოტო: ადგილობრივი მოძრაობა ბაღდის კანონის დასაცავად / OC მედია

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელისუფლებამ საპროტესტო აქციებს დაშინების და შურისძიების მეთოდებით უპასუხა. ამ ზეწოლის მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მათ შორის, სოციალური სამართლიანობის ცენტრის მხარდაჭერით, სასამართლოში სარჩელი შეიტანეს იჯარის კანონიერებასთან დაკავშირებით. საქმეზე არსებითი განხილვის სხდომები ჯერ არ დაწყებულა, რაც შემფოთებას იწვევს სასამართლოს ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

სამთომოპოვებითი სექტორი

მოსახლეობას არანაირი როლი არ აქვს წიაღის მოპოვების ლიცენზიების გაცემის პროცესში და ხშირად დაგეგმილი საქმიანობის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ იგებს, რაც კომპანიის წარმომადგენლები საველე სამუშაოებს იწყებენ. წიაღის მოპოვების ლიცენზიები, როგორც წესი, გაცივმა საჯარო აუქციონების გზით, მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით, რომელიც არ ითვალისწინებს საზოგადოების მონაწილეობის ადეკვატურ მექანიზმებს. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ლიცენზიის გაცემამდე, მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო კონსულტაციებს გადის სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან. მუნიციპალიტეტის წერილი, რომლითაც იგი თანხმობას გამოთქვამს დაგეგმილ აქტივობასთან დაკავშირებით, მიიჩნევა საჯარო კონსულტაციის ფორმად. ზოგიერთ შემთხვევაში, კომპანიის ვალდებულება, ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, თავად

ლიცენზიაშია გათვალისწინებული. თუმცა, ეს ზომა არაეფექტურია, რადგან ამ ეტაპზე ლიცენზია უკვე გაცემულია.¹⁴⁵

სამთომოპოვებითი პროექტებისთვის, რომლებიც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ფარგლებში ექცევა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურები ტარდება მხოლოდ ლიცენზიის გაცემის შემდეგ. ამ ეტაპზე საზოგადოების მონაწილეობა ფორმალურად უზრუნველყოფილია. თუმცა, რადგან საზოგადოება გამორიცხულია გადაწყვეტილების მიღების ადრეული ეტაპებიდან, როდესაც ლიცენზია გაიცემა და ძირითადი გადაწყვეტილებები პროექტის პარამეტრებთან, ადგილმდებარეობასა და მეთოდებთან დაკავშირებით უკვე მიღებულია, საზოგადოების მონაწილეობის შემდგომი პროცესი უბრალო ფორმალობას წარმოადგენს.¹⁴⁶ საზოგადოების ადრეული ჩართულობის ეს ნაკლებობა ხშირად იწვევს დაძაბულობას და პროტესტს ადგილობრივ თემებსა და კომპანიებს შორის.

საქართველოში ორი მასშტაბური სამთომოპოვებითი პროექტი, მანგანუმის მოპოვება ჭიათურაში და სპილენძისა და ოქროს მოპოვება ბოლნისში, მრავალი წლის განმავლობაში საზოგადოების ყურადღებისა და კრიტიკის საგანი იყო, მათი უარყოფითი ზემოქმედების გამო ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე. ამ პროექტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და ჩართული კომპანიების საქმიანობა არ არის გამჭვირვალე, რაც მრავალ გარემოსდაცვით დავას იწვევს.¹⁴⁷

RMG-ის საქმე

ზემოაღნიშნულ პრობლემას ასახავს 2022 წელს გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემა სპილენძის და ოქროს მოპოვებისთვის მუშევანში, ქვემო ქართლში. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ მოპოვების არეალი უკვე განსაზღვრული იყო ლიცენზიის პირობებით და ცვლილებას არ ექვემდებარებოდა. გზშ-ს ანგარიშში კომპანია ასევე ხაზს უსვამდა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე შეუძლებელი იყო ალტერნატიული საქმიანობის განხორციელება, რადგან მოპოვების გეგმა და გადახდის პირობები უკვე შეთანხმებული იყო შესაბამის ორგანოებთან და მათი უგულებელყოფა გამოიწვევდა პასუხისმგებლობას ლიცენზიის პირობების დარღვევისთვის. ამ შემთხვევაში, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ცალსახად მხარი დაუჭირა კომპანიის პოზიციას, რადგან მან საქმიანობის ნებართვა გასცა.¹⁴⁸

¹⁴⁵ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა წიაღისეულის მოპოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში“, 2022, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/otiBAAnoH> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹⁴⁶ იქვე.

¹⁴⁷ „მწვანე ალტერნატივა“, „საქართველოს სამთომოპოვებითი სექტორის გამოწვევები - მოკლე მიმოხილვა“, 2024.

¹⁴⁸ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ბოლნისში სოფელ მუშევანის მოსახლეობა წიაღისეულის ღია წესით მოპოვების დაწყებას აპროტესტებს და ხელისუფლებას მიმართავს“, 2022, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/krOrakmH> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

სივრცითი და ურბანული დაგეგმარება

საქართველოში მინათსარგებლობის დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხები, საკანონმდებლო დონეზე, მეტნაკლებად კარგად არის რეგულირებული. საქართველოს კანონი „სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის“ შესახებ განსაზღვრავს მინათსარგებლობის დაგეგმვასთან დაკავშირებულ ინსტიტუციურ პასუხისმგებლობებს და უფლებამოსილებებს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, რაც უზრუნველყოფს იერარქიის პრინციპის დაცვას. საქართველოს სივრცის დაგეგმარების სამართლებრივ ჩარჩოში მნიშვნელოვანი ხარვეზია ის, რომ ქვეყნის სივრცის დაგეგმარების გეგმა, მიუხედავად იმისა, რომ იერარქიულად ყველაზე მაღალი დონის დაგეგმვის დოკუმენტია, მიიღება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების პროცედურებით, რაც არ იძლევა საზოგადოების მონაწილეობის რეალურ შესაძლებლობას.¹⁴⁹

კანონი ითვალისწინებს საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას დაბალი დონის სივრცის დაგეგმარების გეგმებისა და ქალაქმშენებლობის გეგმებისთვის. თუმცა, პრაქტიკაში, საზოგადოების ინფორმირება შეზღუდული და არაეფექტურია. განცხადებები ქვეყნდება ექსკლუზიურად ონლაინ რეჟიმში, ხოლო შეტყობინებები დეტალური სამშენებლო



ფოტო: ქალთური მშენებლობები ბათუმში / Batumelebi.ge

¹⁴⁹ „მწვანე ალტერნატივა“, „საქართველოს სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები“, 2021, ხელმისაწვდომია: https://greenalt.org/app/uploads/2021/07/public_participation_in_spatial_planning_georgia_june2021_geo.pdf (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს). „საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024.

გეგმების შესახებ მხოლოდ ფიზიკურ საინფორმაციო დაფებზეა განთავსებული. აღნიშნული საკომუნიკაციო საშუალებები არასაკმარისია და სათანადოდ არ იძლევა იმის გარანტიას, რომ საზოგადოება ინფორმირებული იქნება გადაწყვეტილების მიღების პროცესების შესახებ, განსაკუთრებით სოფლად, სადაც ინტერნეტზე წვდომა შეზღუდულია, ასევე ხანდაზმულ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის, რომლებიც მონაწილეობის დამატებით ბარიერებს აწყდებიან.¹⁵⁰ გარდა ამისა, კანონმდებლობა არ ავალდებულებს ხელისუფლების ორგანოებს, საზოგადოებას აცნობონ, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული მათი კომენტარები ან მოსაზრებები, რაც ასუსტებს გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას.¹⁵¹

პრაქტიკაში, სივრცის დაგეგმარებისა და ურბანული განვითარების პროექტებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები ხშირად მიიღება ნაჩქარევად და გაუმჭვირვალედ. გარკვეულ ქალაქებში, მათ შორის, ბათუმსა და თბილისში, გამოიკვეთა მუდმივი ტენდენცია, რომლის მიხედვითაც პროექტების კულტურული, სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედება უგულებელყოფილია და საზოგადოება გამორიცხულია გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან. ამან გამოიწვია ქაოტური ურბანული განვითარება, ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი პროტესტი და მრავალი სამართლებრივი დავა.

მშენებლობა ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე


2020 წლის ოქტომბერში, თბილისის მერმა გამოაცხადა გეგმა ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე „ცენტრალური პარკის“ მოწყობის შესახებ, რომლის ფართობი 36 ჰექტარს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი „მწვანე“ ინიციატივად იყო წარმოდგენილი, მერიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, იგი მნიშვნელოვნად შეცვლიდა ტერიტორიის ბუნებრივ ლანდშაფტს, რადგან არსებულ მცენარეულ საფარს ჩაანაცვლებდა შენობებით, მოასფალტებული ზედაპირებით, ავტოსადგომებით და დეკორატიული მცენარეებით. ეს მიდგომა ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების დიდი ხნის მოთხოვნებს, შეენარჩუნებინათ ტერიტორიის ბუნებრივი გარემო და გამოეყენებინათ იგი, როგორც ეკოლოგიური და რეკრეაციული სივრცე.¹⁵²

¹⁵⁰ „მწვანე ალტერნატივა“, „მოსაზრებები და წინადადებები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის მდგომარეობის შესახებ“, 2021, ხელმისაწვდომია:

https://greenalt.org/app/uploads/2021/09/sakomiteto_mokvleva_moqalaqeta_chartuloba_mcvane_alternativa.pdf (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹⁵¹ „მწვანე ალტერნატივა“, „საქართველოს სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები“, 2021, ხელმისაწვდომია: https://greenalt.org/app/uploads/2021/07/public_participation_in_spatial_planning_georgia_june2021_geo.pdf (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹⁵² „მწვანე ალტერნატივა“, „საზოგადოებასთან კონსულტაციისა და სათანადო შეფასების გარეშე ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე პარკის გაშენება უკანონო“, 2020, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Zr7ye4jt> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).



ფოტო: ახალი პარკის მშენებლობა თბილისში, ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე / რადიო თავისუფლება

ზემოაღნიშნული საჯარო განცხადებიდან რამდენიმე დღეში დაანონსდა მშენებლობის დაწყება, საზოგადოებასთან ყოველგვარი წინასწარი კონსულტაციის გარეშე, რაც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დარღვევაა. კოდექსი მოითხოვს სკრინინგის პროცედურას ათ ჰექტარზე მეტი ფართობის ურბანული განვითარების პროექტებისთვის, რათა დადგინდეს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების აუცილებლობა და უზრუნველყოფილ იქნეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა. ამის მიუხედავად, სამშენებლო სამუშაოები განცხადებიდან მალევე დაიწყო. „მწვანე ალტერნატივამ“ გარემოს დაცვის სამინისტროს მიმართა, უკანონო საქმიანობაზე რეაგირებისა და პროექტის შეჩერების მოთხოვნით. თუმცა, სამინისტროს არავითარი ზომა არ მიუღია.¹⁵³

ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე პარკის მოწყობის გადაწყვეტილებამ ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია. თბილისის მერიამ უარი თქვა პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამჟღავნებაზე, და არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, არ უზრუნველყო საზოგადოების მონაწილეობა.¹⁵⁴ 2022 წლის იანვარში, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა სასამართლოს მიმართა, პროექტის დამტკიცებისას არსებული

¹⁵³ „მწვანე ალტერნატივა“, „მწვანე ალტერნატივა ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე მერიის უკანონო საქმიანობის აღკვეთას ითხოვს“, 2020, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Qr7yrd4E> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹⁵⁴ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „თბილისის მერია და არქიტექტურის სამსახური ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე ასაშენებელი ცენტრალური პარკის დოკუმენტაციას უკანონოდ ასაიდუმლოებენ“, 2021, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/lr7yrOL1> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

დარღვევები გაასაჩივრა და სამშენებლო სამუშაოების შეჩერება მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა დროებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ. მშენებლობის კანონიერებასთან დაკავშირებით დავა დღემდე გრძელდება.¹⁵⁵

ეს შემთხვევა წარმოაჩენს ფართო სისტემურ ხარვეზებს თბილისის ურბანულ გარემოსდაცვით მმართველობაში, რომელიც ხასიათდება დერეგულაციით, გადაწყვეტილების მიღების გაუმჭირვალე პროცესებით და საზოგადოების მონაწილეობის ვალდებულებების მუდმივი უგულებელყოფით, რაც იწვევს მწვანე და საჯარო სივრცეების განგრძობად დეგრადაციას და პრივატიზაციას.

გზის მშენებლობის პროექტები

ბოლო წლებში აქტიურად განხორციელდა რამდენიმე მასშტაბური საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი. მათი მასშტაბისა და ადგილმდებარეობის გამო, ბევრი მათგანი პირდაპირ გავლენას ახდენს ახლომდებარე დასახლებებში მცხოვრები პირების უფლებებსა და საცხოვრებელ პირობებზე. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოთქმული წუხილები მოიცავს სახლების სტრუქტურულ დაზიანებას, გეოლოგიურ რისკებს, უარყოფით ზემოქმედებას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე, ხმაურს, ჰაერის დაბინძურებას, საცხოვრებელი პირობების საერთო გაუარესებას, საზოგადოების არასაკმარის ინფორმირებას და მონაწილეობას პროექტის დაგეგმვის პროცესში და კულტურული მემკვიდრეობის არასათანადო დაცვას. სხვა მსხვილი ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტების მსგავსად, საზოგადოების უნდობლობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის მიმართ კვლავ მაღალია.¹⁵⁶

ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ბოლოდროინდელი ინფრასტრუქტურული პროექტი რიკოთის უღელტეხილის რამდენიმე სეგმენტის მშენებლობაა, რომელიც E60 ავტომაგისტრალის საკვანძო ნაწილია. 2018 წელს დაწყებული პროექტი ოთხ ნაწილად დაიყო, რომელთაგან თითოეულისთვის ცალ-ცალკე ჩატარდა გარემოზე ზემოქმედების შეფასება. ამ ფრაგმენტული მიდგომის გამო, შეფასების მიღმა დარჩა გარემოზე პროექტის კუმულაციური ზემოქმედება. ადგილობრივი მაცხოვრებლები ამჟამად მეწყერების და ღვარცოფების მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობენ. დამოუკიდებელი ექსპერტების აზრით, ამის მიზეზია სამშენებლო სამუშაოების განხორციელება არასათანადო გარემოზე ზემოქმედების შეფასებების საფუძველზე. ექსპერტებმა, სხვა პრობლემებთან ერთად,

¹⁵⁵ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „იპოდრომზე უკანონო სამუშაოების აღსაკვეთად სოციალური სამართლიანობის ცენტრი სასამართლოს მიმართავს“, 2022, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Ar7yr8fm> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹⁵⁶ საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებები და განვითარების პროექტების ათწლიანი პრაქტიკა“, 2022.

ხაზი გაუსვეს მდინარე რიკოთულას კალაპოტის ცვლილებით გამოწვეული ჰიდროლოგიური რისკების არასაკმარის შეფასებას და სამშენებლო ნარჩენების არასათანადო მართვას.¹⁵⁷

¹⁵⁷ „მწვანე ალტერნატივა“, „გზა რიკოთის უღელტეხილზე: საფრთხის ხილული და უხილავი კერები“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://greenalt.org/blogs/gza-rikotis-ugheltekhlze-safrtkhis-khiluli-da-ukhilavi-kerebi/> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

გეგმები, პროგრამები და პოლიტიკის დოკუმენტები (მუხლი 7)

ბევრ ძირითად სექტორში სტრატეგიული დოკუმენტები ან საერთოდ არ არსებობს, ან მოძველებულია, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესებს ფრაგმენტულს და გაუმჭირვალეს ხდის. სტრატეგიული დაგეგმვის არარსებობის გამო, პროექტები ხშირად ხორციელდება ერთიანი პოლიტიკის ჩარჩოს გარეშე და საზოგადოებას არ ეძლევა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი პრიორიტეტების ჩამოყალიბებაში.

მიუხედავად იმისა, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ფორმალურად ითვალისწინებს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) გამოყენებას პოლიტიკის დოკუმენტების მომზადებისას, ეს მექანიზმი, უმეტეს შემთხვევაში, არასაკმარისად გამოიყენება.¹⁵⁸ მაგალითად, საქართველოს წიაღის სექტორის სტრატეგია 2019 წელს საზოგადოების მონაწილეობის გარეშე იქნა მიღებული, და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება არ ჩატარებულა. შედეგად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი წიაღის სექტორში, რომელიც ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე საქმიანობაა, საზოგადოებისთვის კვლავ დახურული რჩება.¹⁵⁹

ანალოგიურად, ჰიდროელექტროსადგურების პროექტების უმეტესობა ინიცირებული იყო ენერგეტიკული სტრატეგიის არარსებობის პირობებში, რომლის შემუშავება 2024 წელს დასრულდა. 2022 წელს ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის შემუშავების პროცესი ასახავს სისტემურ ხარვეზებს საზოგადოების მონაწილეობის კუთხით: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები არ იყვნენ ინფორმირებული დროულად და გამჭვირვალედ და დოკუმენტის გამოქვეყნების შესახებ შემთხვევით შეიტყვეს. ამ დროისთვის კომენტარების წარსადგენად მხოლოდ ორი კვირა იყო დარჩენილი, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა საზოგადოების შინაარსიან მონაწილეობას.¹⁶⁰

¹⁵⁸ „საბუკო“, „ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პრობლემები საქართველოში“, 2023.

¹⁵⁹ „მწვანე ალტერნატივა“, „საქართველოს სამთომოპოვებითი სექტორის გამოწვევები - მოკლე მიმოხილვა“, 2024.

¹⁶⁰ „მწვანე ალტერნატივა“, „შენიშვნები და პოზიცია საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის პროექტის თაობაზე“, 2022, ხელმისაწვდომია: https://greenalt.org/app/uploads/2022/07/GA_comments_energy_police_project.pdf (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

რეგულაციები და წესები (მუხლი 8)

საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული წესებისა და რეგულაციების მიღების პროცესში კვლავ შეზღუდულია. კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ცვლილებების უმეტესობა მიიღება საჯარო მოსმენების გარეშე, რაც დაინტერესებულ მხარეებს ართმევს შესაძლებლობას, წვლილი შეიტანონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტები ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე, მხოლოდ ონლაინ გამოქვეყნება არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად საზოგადოების სათანადო ინფორმირებისა და ეფექტური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.¹⁶¹

გარემოსთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო პროცესები ხშირად დაჩქარებული წესით ხორციელდება, რაც გამორიცხავს საზოგადოების შინაარსიან მონაწილეობას. მაგალითად, 2022 წლის ივნისში, პარლამენტმა დაჩქარებული წესით, კანონპროექტის ინიცირებიდან სულ რაღაც ერთი კვირის შემდეგ მიიღო ცვლილებები „სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის“ შესახებ კოდექსში. ამ ცვლილებებმა თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა შექმნა ბათუმში მშენებლობის ნებართვების გაცემისა და ურბანული განვითარების გეგმების დამტკიცებისას. მიუხედავად ფართო საჯარო კრიტიკისა, რომ ცვლილებები გაამწვავებდა ქოტური ურბანული განვითარების პრობლემას ბათუმში, და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების და ექსპერტების არაერთი მოთხოვნისა, ჩართულიყვნენ შემოთავაზებული კანონპროექტის განხილვაში, ხელისუფლებამ არ უზრუნველყო საზოგადოების ადეკვატური მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში.¹⁶²

¹⁶¹ „საბუკო“, „ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმოხილვა“, 2024, ხელმისაწვდომია:

<https://www.sabuko.org/wp-content/uploads/2024/09/REPORT-LOW-geo.pdf> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

„მწვანე ალტერნატივა“, „საქართველოს სამთომოპოვებითი სექტორის გამოწვევები - მოკლე მიმოხილვა“, 2024.

„საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024.

¹⁶² სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „სივრცით კოდექსში მიღებული ცვლილებები, ბათუმში ქოტური განაშენიანების მასშტაბს გაზრდის“, 2022, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/sr7yelo> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

მართლმსაჯულებაზე წვდომა (მუხლი 9)

სამართლებრივი ჩარჩო

საჯარო ორგანოს მიერ გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა, ასევე საზოგადოების მონაწილეობის წესების დარღვევა, შეიძლება გასაჩივრდეს იმავე ფორმით, როგორც ნებისმიერი სხვა ადმინისტრაციული გადაწყვეტილება - პირველ რიგში, ადმინისტრაციული საჩივრის შეტანით ზემდგომ ორგანოში. თუ ზემდგომი ორგანო უარყოფს საჩივარს, გადაწყვეტილება შეიძლება სასამართლო განხილვის საგანი გახდეს. თუ არ არსებობს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, საჩივარი პირდაპირ სასამართლოს წარედგინება. სკრინინგის, სკოპინგის და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს პირდაპირ სასამართლოში.¹⁶³ ადმინისტრაციული საჩივრები არ ექვემდებარება რაიმე გადასახადს (სზა-კ-ის 41.2-ე მუხლი). სასამართლოში სარჩელის შეტანის საფასური პირველი ინსტანციის სასამართლოს შემთხვევაში 100 ლარი, სააპელაციო სასამართლოში - 150 ლარი, ხოლო უზენაეს სასამართლოში - 300 ლარია.

გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე წვდომის პრაქტიკული ბარიერები

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ბაჟის ოდენობა შედარებით მცირეა, იურიდიული წარმომადგენლობის და ექსპერტული შეფასების ხარჯები შესაძლოა საგრძნობი იყოს, რაც არსებით ბარიერს ქმნის მართლმსაჯულებაზე წვდომის კუთხით.¹⁶⁴ გარემოსდაცვითი ორგანიზაციები ფუნდამენტურ როლს ასრულებენ გარემოსდაცვით დავებში ადგილობრივი თემების ინტერესების წარმოდგენის თვალსაზრისით.¹⁶⁵ თუმცა, შეზღუდული ფინანსური და ადამიანური რესურსების გამო, მათი მხრიდან იურიდიული წარმომადგენლობა ხშირად მხოლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული საქმეებით შემოიფარგლება. გარდა ამისა, გარემოსდაცვითი ორგანიზაციების და აქტივისტების დევნის კლიმატი დამატებით სირთულეს ქმნის გარემოს დაცვის მსურველთათვის, რაც კიდევ უფრო აბრკოლებს მათ წვდომას მართლმსაჯულებაზე.

¹⁶³ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი 46.6.

¹⁶⁴ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: 6 საქმის ანალიზი“, 2024.

¹⁶⁵ „საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024.

იურიდიული დახმარების სამსახური, დამოუკიდებელი საჯარო ორგანო, უფლებამოსილია უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოს მოქალაქეები, მათ შორის, გარემოსდაცვით დავებში. თუმცა, შეზღუდული რესურსების გამო, იგი ძირითადად დახმარებას უწევს იმ ბენეფიციარებს, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლად სოციალურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან. 2022 წლის მონაცემებით, იურიდიული დახმარების სამსახური ჩართული იყო 122 გარემოსდაცვით საქმეში, წყლის დაბინძურებასთან, უკანონო თევზჭერასთან, ნადირობასა და ხე-ტყის ჭრასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ საქმეებში სამსახური უმეტესად წარმოადგენდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევაში ბრალდებულ პირებს და არა გარემოზე მიყენებული ზიანით დაზარალებულებს. სამსახურის იურისტებს, როგორც წესი, არ აქვთ სპეციალიზაცია გარემოსდაცვით სამართალში, რაც ზღუდავს მათ შესაძლებლობას, ეფექტურად აწარმოონ რთული გარემოსდაცვითი საქმეები.¹⁶⁶

მნიშვნელოვანი გამოწვევაა ასევე საჭირო კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის პოვნა შესაბამის სფეროში, რომელიც თანახმა იქნება ჩაერთოს სასამართლო პროცესებში.¹⁶⁷

დაგვიანებული მართლმსაჯულება

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან, საზოგადოების მონაწილეობასთან და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევებთან დაკავშირებული საქმეების შესახებ სეგრეგირებული და კონსოლიდირებული სტატისტიკის არარსებობა ართულებს ფართო ტენდენციების შეფასებას გარემოსდაცვითი მართლმსაჯულების სფეროში.¹⁶⁸ მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და მედია ორგანიზაციები მუდმივად აფიქსირებენ მკაფიო ტენდენციას საჩივრების განხილვის მნიშვნელოვანი დაგვიანების კუთხით, როგორც არსებით, ასევე პროცედურულ საკითხებზე.¹⁶⁹ სასამართლო პროცესების გადაჭარბებული ხანგრძლივობა კვლავ სისტემურ ბარიერად რჩება, რაც ხელს უშლის გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლების ეფექტურ განხორციელებას.

ადმინისტრაციულ ორგანოებს კანონით ერთი თვე აქვთ საჩივრის განსახილველად, დამატებით ერთი თვით ვადის გაგრძელების შესაძლებლობით. პრაქტიკაში ეს ვადები ხშირად ირღვევა, განსაკუთრებით

¹⁶⁶ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და „გერმანული თანამშრომლობა“ (German Cooperation), „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, 2023.

¹⁶⁷ იქვე.

¹⁶⁸ იქვე.

¹⁶⁹ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: 6 საქმის ანალიზი“, 2024.

„საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, რომლებიც ყველაზე გავრცელებული დავების - სამშენებლო ნებართვებსა და ზონირებასთან დაკავშირებული საჩივრების ადრესატები არიან. სულ მცირე ერთ დოკუმენტირებულ შემთხვევაში, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა საჩივარს მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ უპასუხა, კანონით დადგენილ ვადაზე გაცილებით გვიან.¹⁷⁰

მიუხედავად იმისა, რომ საქალაქო და რაიონულ სასამართლოებში საჩივრების განხილვის ოფიციალური ვადა ორიდან ხუთ თვემდეა, პრაქტიკაში საშუალო ხანგრძლივობა ორ წელს აჭარბებს. სააპელაციო დონეზე, სამართალწარმოება, როგორც წესი, 17-დან 19 თვემდე გრძელდება.¹⁷¹ არსებული ანგარიშები მიუთითებს, რომ გარემოსდაცვითი დავები შესაძლოა გაცილებით ხანგრძლივი იყოს, რასაც ქვემოთ მოცემული მაგალითები ადასტურებს:

- 2023 წელს, მედია პლატფორმა [Mtsambebi.ge](https://mtsambebi.ge)-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ 2020–2021 წლებში ინიცირებულ 20-ზე მეტ საჩივარზე, გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევებთან დაკავშირებით, უკანასკნელი 18 თვის განმავლობაში არცერთი სხდომა არ გამართულა.¹⁷²
- 2024 წლის ანგარიშში საიას მიერ განხილული ექვსი გარემოსდაცვითი საქმიდან მხოლოდ ორზე იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი, ხოლო დანარჩენი საქმეები დღემდე განხილვის პროცესშია, მიუხედავად იმისა, რომ დავები ორი, სამი და ხუთი წლის წინაც კი იყო დაწყებული. მაგალითად, ზემოხსენებულ ნამახვანჭესის პროექტთან დაკავშირებით სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში 2020 წლიდან მიმდინარეობს, თუმცა, მოსამზადებელი სხდომა საქმეზე დღემდე არ ჩანიშნულა.¹⁷³
- ნამახვანჭესის საქმის გარდა, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა მიუთითა კიდევ მინიმუმ ექვსი გარემოსდაცვითი საქმის შესახებ, რომლებიც სამ წელზე მეტია განხილვის მოლოდინშია. ამ საქმეებზე ერთი სხდომაც კი არ ჩატარებულა.¹⁷⁴

¹⁷⁰ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და „გერმანული თანამშრომლობა“ (German Cooperation), „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, 2023.

¹⁷¹ იქვე.

¹⁷² იქვე.

¹⁷³ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: 6 საქმის ანალიზი“, 2024.

¹⁷⁴ მათ შორის, ნამახვანის ჰიდროელექტროსადგური; ნენსკრა ჰესი; მშენებლობები თბილისში, შარტავასა და ყიფშიძის ქუჩებზე; მშენებლობის ნებართვა „ცენტრალური პარკისთვის“ ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე თბილისში; წიაღის მოპოვების ლიცენზია შქერში და სასტუმრო „ამბასადორის“ მშენებლობის ნებართვა ბათუმში - გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და „გერმანული თანამშრომლობა“ (German Cooperation), „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, 2023.

ასევე ხანგრძლივია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის გადასინჯვის პროცესი.¹⁷⁵ დაგვიანებული გადაწყვეტილებები ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მუდმივი წუხილის საგანია. ზოგიერთ საქმეზე რვა წელზე მეტი ხანია გადაწყვეტილება არ მიღებულა.¹⁷⁶ რაც შეეხება ჯანსაღი გარემოს უფლებასთან დაკავშირებულ საქმეებს, რომელიც კონსტიტუციის 29-ე მუხლით არის გარანტირებული, 2022 წელს წარდგენილი ორი სარჩელი დღემდე დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მოლოდინშია.¹⁷⁷

სასამართლო კონტროლის ხარისხი

გარემოსდაცვითი მართლმსაჯულებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი გამოწვევაა სპეციალიზებული მოსამართლეების არარსებობა გარემოსდაცვითი სამართლის მიმართულებით. ეს პრობლემა ხშირად იწვევს გარემოსდაცვითი რეგულაციების ვიწრო და ზედმეტად ფორმალურ განმარტებებს, რომლებიც არასაკმარის ყურადღებას უთმობს არსებით გარემოსდაცვით არგუმენტებს.¹⁷⁸

გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით წარმატებული საჩივრების დაბალი მაჩვენებელი კიდევ უფრო აღრმავებს განცდას, რომ სასამართლოს გზით უფლების დაცვის შესაძლებლობები შეზღუდულია.¹⁷⁹ დავების უმეტესობა კომპანიების და ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ წყდება.¹⁸⁰ 2018–2022 წლების მონაცემების თანახმად, გზმ-ს პროცედურებთან დაკავშირებული 46 საჩივრიდან 12 გარემოს დაცვის სამინისტროს სასარგებლოდ გადაწყდა, ხოლო დანარჩენი საქმეები ანგარიშის გამოქვეყნების დროისთვის (2023 წლის ოქტომბერი) ჯერ კიდევ განხილვის პროცესში იყო.

¹⁷⁵ „საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024.

¹⁷⁶ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეთა გაჭიანურების პრობლემა“, 2021, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Hr7QnnX1> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹⁷⁷ კონსტიტუციური სარჩელი, N1724, 2022, ხელმისაწვდომია:

<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=14062> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

კონსტიტუციური სარჩელი, N1690, 2022, ხელმისაწვდომია:

<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13493> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹⁷⁸ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და „გერმანული თანამშრომლობა“ (German Cooperation), „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, 2023. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: 6 საქმის ანალიზი“, 2024.

¹⁷⁹ იქვე.

¹⁸⁰ იქვე.

„საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024.

სასამართლო წარმოებას ასევე არაეფექტურს ხდის იმ მოთხოვნების დაკმაყოფილების დაბალი მაჩვენებელი, რომლებიც უკავშირდება გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტების შეჩერებას ან დროებითი ღონისძიებების გამოყენებას, გარემოზე გამოუსწორებელი ზიანის თავიდან აცილების მიზნით.¹⁸¹ სასამართლოები მოითხოვენ, რომ განმცხადებლებმა წარმოადგინონ მყარი მტკიცებულებები, რომლებიც წარმოაჩენს პოტენციური ზიანის მყისიერ საფრთხეს. გარდა ამისა, ასეთი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარი ხშირად ზედაპირულია და ასახავს ტენდენციას, რომლის მიხედვითაც ეკონომიკურ ინტერესებს ავტომატურად უპირატესობა ენიჭება გარემოსდაცვით წუხილებთან შედარებით.¹⁸²

ამ წუხილებს კიდევ უფრო ამძაფრებს ქვეყანაში არსებული ფართო სისტემური პრობლემა სასამართლო დამოუკიდებლობის ნაკლებობასთან დაკავშირებით.¹⁸³ ერთად აღებული, ეს ნაკლოვანებები ასუსტებს საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემის მიმართ გარემოსდაცვითი უფლებების დაცვის საკითხში.

სუსტი მონიტორინგი და აღსრულება

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციები არაპროპორციულად დაბალია და არასათანადოდ აღსრულებდა, რის გამოც ისინი ვერ ასრულებენ დარღვევების ეფექტური შეკავების ფუნქციას.¹⁸⁴ სისხლის სამართლის სანქციები ყველაზე ხშირად გამოიყენება წვრილმანი სამართალდარღვევებისთვის (მაგ., ხე-ტყის უკანონო ჭრა და უკანონო თევზჭერა), სადაც დამნაშავეები ხშირად სოციალურად მონყვლად ჯგუფებს

181 გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და „გერმანული თანამშრომლობა“ (German Cooperation), „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, 2023. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: 6 საქმის ანალიზი“, 2024.

182 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: 6 საქმის ანალიზი“, 2024.

183 სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ განხორციელებული კომუნიკაცია „ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ“ საქმის აღსრულების ზედამხედველობასთან დაკავშირებით, 9.2-ე რეგულაციის შესაბამისად (N20592/21), 2025, ხელმისაწვდომია: [https://hudoc.exec.coe.int/#%7B%22exciden%22:%5B%22DH-DD\(2025\)564E%22%5D%7D](https://hudoc.exec.coe.int/#%7B%22exciden%22:%5B%22DH-DD(2025)564E%22%5D%7D) (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

184 გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და „გერმანული თანამშრომლობა“ (German Cooperation), „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, 2023. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „სამთო-მოპოვებით საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ხარვეზები“, 2022. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), „გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა საქართველოში: არსებული მდგომარეობა და რეკომენდაციები“, 2023.

„საბუკო“, „ტყის მმართველობის შეფასება საქართველოში“, 2024.

მიეკუთვნებიან, ნაცვლად იმისა, რომ დაისაჯონ მსხვილი კომპანიები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მწვავე გარემოსდაცვითი დარღვევებისა და ზიანისთვის.¹⁸⁵

მონიტორინგის მექანიზმები, რომლებმაც გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევები უნდა გამოავლინოს, კვლავ არაეფექტურია, როგორც კანონმდებლობაში, ასევე პრაქტიკაში.¹⁸⁶ დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც მინერალური რესურსების ეროვნულმა სააგენტომ უგულბებლყო მოქალაქეების მოთხოვნები სავსე კვლევების ჩატარებასთან დაკავშირებით. ეს ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას მაკონტროლებელი უწყებების მიმართ.¹⁸⁷

ცემენტის წარმოება კასპში

ქვეყანაში ერთ-ერთი უმსხვილესი ცემენტის მწარმოებლის, „ჭაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ საქმიანობა წარმოაჩენს მუდმივ სამართლებრივ და პრაქტიკულ ნაკლოვანებებს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების კუთხით, ასევე არსებული სანქციების სუსტ შემაკავებელ ეფექტს.

„ჭაიდელბერგცემენტ ჯორჯია“, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მმართველი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობასთან, საქართველოს მასშტაბით რამდენიმე სანარმოო ობიექტს მართავს, მათ შორის, კასპში, რუსთავეში და ფოთში. კომპანიის საქმიანობა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარემოს, განსაკუთრებით კასპში, სადაც ქარხანა ქალაქის ცენტრში, საცხოვრებელ უბნებთან ახლოს მდებარეობს. ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა არაერთხელ მიუთითეს მტვრითა და ხმაურით მწვავე დაბინძურების თაობაზე. „არნიკას“ მიერ 2023 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, კასპიდან ათი კილომეტრის რადიუსში აზოტის დიოქსიდის (NO₂) კონცენტრაცია მნიშვნელოვნად იყო მომატებული, რაც ადასტურებს მუდმივ წუხილებს ჰაერის ხარისხთან დაკავშირებით.¹⁸⁸

კომპანიას 2009 წელს მიენიჭა ცემენტის წარმოების თავდაპირველი ნებართვა, მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულო დოკუმენტაციის სრული პაკეტი არ წარუდგენია. ნებართვა გაიცა იმ პირობით, რომ ეს დოკუმენტები მოგვიანებით იქნებოდა წარდგენილი. პირველი ინსპექტირება

¹⁸⁵ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და „გერმანული თანამშრომლობა“ (German Cooperation), „გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, 2023.

¹⁸⁶ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), „გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა საქართველოში: არსებული მდგომარეობა და რეკომენდაციები“, 2023.

¹⁸⁷ „მწვანე ალტერნატივა“, „საქართველოს სამთომოპოვებითი სექტორის გამოწვევები - მოკლე მიმოხილვა“, 2024.

¹⁸⁸ „არნიკა“, „კოსმოსიდან დანახული ჰაერის დაბინძურება საქართველოში“, 2023.

კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესამოწმებლად მხოლოდ 2016 წელს, შვიდი წლის შემდეგ ჩატარდა, რამაც აჩვენა, რომ კომპანიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკმაყოფილებული საჭირო სტანდარტები. შემდგომმა ინსპექტირებამ 2017 წელს დაადასტურა განგრძობადი დარღვევა, რისთვისაც კომპანიას დაეკისრა ჯარიმა 15 000 ლარის ოდენობით.¹⁸⁹

ანალოგიურად, 2016 წელს, როდესაც „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-მ ნებართვა მოითხოვა ცემენტის წარმოების ახალი ტექნოლოგიის დანერგვის მიზნით, ხელისუფლებამ კვლავ პირობადადებული ნებართვა გასცა. ნებართვის პირობების თანახმად, კომპანიას მოეთხოვა მოგვიანებით წარედგინა გამორჩენილი დოკუმენტები, მათ შორის, მონიტორინგის გეგმები ჰაერისა და ხმაურის დაბინძურებასთან დაკავშირებით, და ნარჩენების მართვის გეგმა. კომპანიამ კვლავ არ შეასრულა ვალდებულება, რის შედეგადაც მას 5000 ლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა, რასაც მოჰყვა 15 000 ლარი 2020 წელს, და 45 000 ლარი - 2021 წელს. ეს ჯარიმები უმნიშვნელო თანხას წარმოადგენს კომპანიის შემოსავალთან შედარებით. შესაბამისად, ისინი ვერ ასრულებენ ეფექტური შემაკავებელი მექანიზმის ფუნქციას განგრძობადი დარღვევებისთვის.¹⁹⁰

„ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ასევე სისტემატურად არღვევდა ხმაურის შესახებ რეგულაციებს. 2020 წელს, ადგილობრივი მაცხოვრებლების მრავალი საჩივრის შედეგად, რომელთა თანახმად, ხმაურის დონე დაახლოებით 13 დბ-ით აღემატებოდა კანონით დადგენილ 40 დბ-ს ზღვარს, სასამართლომ კომპანიას 5000 ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა. მიუხედავად ამისა, ხმაურის დონის გადაჭარბება კვლავ გრძელდებოდა. 2021 წელს, როდესაც გაზომვების შედეგად ხმაურის დონემ 44 დბ შეადგინა, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა უარი თქვა დამატებითი საჩივრების დაწესებაზე იმ მოტივით, რომ შესაბამისი ზღვარი დადგენილი იყო კომპანიის საკუთარი გზშ-ს დოკუმენტაციით და არა ტექნიკური რეგულაციებით. ეს პოზიცია ფაქტობრივად უპირატესობას ანიჭებდა კომპანიის მიერ მიწოდებულ მონაცემებს, კანონით დადგენილ სტანდარტებთან შედარებით.¹⁹¹

გარდა ამისა, 2019 წელს შრომის ინსპექციამ დაადგინა, რომ კომპანია ნედლეულს ღია ტერიტორიაზე ინახავდა, რაც ქარით გაფანტვის პირობებში ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა. თუმცა,

¹⁸⁹ „მწვანე ალტერნატივა“, „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია - კომპანიის პროფილი“, 2022, ხელმისაწვდომია: <https://greenalt.org/library/haidelbergcement-gorgia-kompaniis-profil-2022/> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹⁹⁰ იქვე.

¹⁹¹ IFact.ge, „ცემენტის წარმოება საქართველოში - კანონი იმისთვისაა, რომ დაარღვიო“, 2021, ხელმისაწვდომია: <https://ifact.ge/haidelbergi/> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

რადიო თავისუფლება, „ივანიშვილის ინტერესები და ცემენტის ბიზნესი - როგორ აზიანებს ჰაიდელბერგი გარემოს და ადამიანებს“, 2022, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/mr7toyvl> (ნანახია 2025 წლის 11 ოქტომბერს).

¹⁹¹ იქვე.

ამ შემთხვევასთან მიმართებით სანქციები არ გამოყენებულა. 2022 წელს, ინსპექტირების ოქმებში აღნიშნული არ იყო, რომ გრძელდებოდა ნედლეულის ღიად დასაწყობება, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიებები ადასტურებდნენ კომპანიის მიერ ამ პრაქტიკის კვლავინდებურ გამოყენებას. შრომის ინსპექციამ ასევე უარი თქვა შემოწმების დროს გადაღებული ფოტოების გასაჯაროებაზე, რამაც კიდევ ერთხელ უგულბელყო საზოგადოების წვდომა გარემოსდაცვით ინფორმაციაზე და საჯარო უწყებების ანგარიშვალდებულება.¹⁹²

საერთო ჯამში, „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს შემთხვევა წარმოაჩენს საქართველოში გარემოსდაცვითი მმართველობის სისტემურ ნაკლოვანებებს, მათ შორის, არარეგულარულ და არაეფექტურ შემოწმებებს, პირობადადებული ნებართვების გაცემას შემდგომი ზედამხედველობის გარეშე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის ღმობიერ და გაუმჭვირვალე მიდგომებს და სანქციებს, რომლებიც ძალიან სუსტია შემდგომი დარღვევების პრევენციისთვის.

¹⁹² რადიო თავისუფლება, „ივანიშვილის ინტერესები და ცემენტის ბიზნესი - როგორ აზიანებს ჰაიდელბერგი გარემოს და ადამიანებს“, 2022.

დასკვნითი მოსაზრებები

ამ ჩრდილოვანი ანგარიშის დასკვნები აჩვენებს, რომ 2017 წლიდან მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმების განხორციელების მიუხედავად, საქართველოში გარემოსდაცვითი უფლებების ეფექტური რეალიზაცია პრაქტიკაში კვლავ მკვეთრად შეზღუდულია. სტრუქტურულმა ნაკლოვანებებმა, სუსტმა ინსტიტუციურმა შესაძლებლობებმა და სამოქალაქო სივრცის სწრაფად გაუარესებამ შეარყია გარემოსდაცვითი დემოკრატიის საფუძვლები და ქვეყნის უნარი, შეასრულოს ორპუსის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები. საზოგადოებრივი მობილიზაციისა და პროტესტის მზარდი ტალღა მსხვილი ინფრასტრუქტურული და განვითარების პროექტების, მათ შორის, ჰიდროენერგეტიკის, სამთო მოპოვების და სატყეო მეურნეობის კონცესიების წინააღმდეგ, ნათლად ასახავს ქვეყანაში მონაწილეობითი დემოკრატიის მექანიზმების სისუსტეს. არასათანადო კონსულტაციებმა, ინფორმაციაზე წვდომის ნაკლებობამ და ადგილობრივ დონეზე პრობლემების გადაჭრის უუნარობამ გამოიწვია საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული უნდობლობა და სოციალური დაძაბულობის ესკალაცია. ეს პროცესი ცხადყოფს, რომ არსებობს მზარდი შეუსაბამობა ფორმალურ სამართლებრივ გარანტიებსა და მათი პრაქტიკაში განხორციელების მდგომარეობას შორის.

ამ ანგარიშის დასკვნები ავლენს, რომ საქართველოს პროგრესი უკუსვლის რისკის ქვეშაა სამოქალაქო სივრცის შევიწროების, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის სუსტი აღსრულების და საკანძო გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებში საზოგადოების მონაწილეობის შეზღუდვის გამო. კონვენციის სულისკვეთების და ვალდებულებების დაცვის აღდგენას დასჭირდება პოლიტიკური ნება, ინსტიტუციური რეფორმები და სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსტრუქციული თანამშრომლობა. საერთაშორისო პარტნიორობა და ორპუსის კონვენციის ორგანოებმა უნდა განაგრძონ მონიტორინგი, მხარდაჭერა და თანამშრომლობა საქართველოს ინსტიტუტებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოების მონაწილეობის, მართლმსაჯულებაზე წვდომის და გარემოსდამცველთა დაცვის პრინციპების სრულფასოვანი განხორციელება პრაქტიკაში.

ჩვენს შესახებ



არნიკა (ჩეხეთის რესპუბლიკა)

არნიკა ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2001 წლიდან აერთიანებს უკეთესი გარემოსთვის მებრძოლ ადამიანებს. მისი მისიაა ბუნების დაცვა და ჯანსაღი გარემოს ხელშეწყობა მომავალი თაობებისთვის როგორც ჩეხეთში, ასევე გლობალურ დონეზე. „არნიკა“-ს სამუშაო მეთოდები ეყრდნობა პრობლემების ღია განხილვას, საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და მეცნიერულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს. ორგანიზაცია ადვოკატირებას უწევს ნარჩენების და ტოქსიკური დაბინძურების შემცირებას, ველური მდინარეების და მრავალფეროვანი ბუნების შენარჩუნებას და გარემოსდაცვით სამართლიანობას ადგილობრივი თემებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია:

<https://arnika.org/en/countries/georgia>



სოციალური სამართლიანობის ცენტრი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი არის ქართული მემარცხენე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, რომელიც 2012 წლიდან მუშაობს ადამიანის უფლებების და სოციალური სამართლიანობის მიმართულებით. ორგანიზაციის მიზნებია ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის სტრუქტურული მიზეზების იდენტიფიცირება, კრიტიკული ცოდნის გაზიარება და არსებული წესრიგის ტრანსფორმაციაში წვლილის შეტანა დემოკრატიული საშუალებებით. სოციალური სამართლიანობის ცენტრი აქტიურად უჭერს მხარს ადგილობრივ თემებს გარემოსდაცვითი უფლებების რეალიზებაში, და მუდმივად უწევს ადვოკატირებას გამჭვირვალობას და საზოგადოების შინაარსიან მონაწილეობას გარემოსდაცვით მმართველობაში.

დამატებითი ინფორმაცია:

<https://socialjustice.org.ge/en>

ეკო ობსერვატორია – გზამკვლევი გარემოს დაცვის შესახებ საქართველოში:
eco.ge



გამოცემა ხელმისაწვდომია აქ:

<https://ecoge.org/ka/publications-2/425-sakartveloshi-orhushis-konventsiiis-implementatsiis-shesakheb-chrdilovani-angarishi,-2021-2024>

დაასკანერე QR-კოდი ანგარიშზე წვდომისთვის.



English publication is available here:

<https://arnika.org/en/publications/access-restricted-shadow-report-on-the-implementation-of-the-aarhus-convention-georgia-2021-2024>

Scan the QR code to access the report.

Follow us at

www.arnika.org